# საარბიელო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 აგვისტო 2007 №179 (3102) ფასი 50 თეთრი

# ფაფუ! ქართულ ფეხბურთს ტორპედო აღარ ჰყავს




საქართველოში ახალი სეზონი დაიწყო. ამ უქმეებზე სათასო მატჩები ჩატარდა და ისეთი შედეგებიც მივიღეთ, სენსაციის სუნი რომ უდის. მაგალითი? ბოლნისში ჭიათურელთა სტუმრობის შედეგს გადახედეთ.

მაგრამ ეს არაფერია ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებასთან შედარებით, რომელმაც საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა. ეროვნული ჩემპიონატის დაარსებიდან პირველად ქუთაისს უმაღლესში გუნდი აღარ ეყოლება. ოღონდაც ამ გადაწყვეტილებას მიღების გამო დამნაშავის საძიებლად აღმასკომისკენ თითს ნუ გაიშვერთ — რა შუაშია აღმასკომი, ამხელა ტრადიციების მქონე „ტორპედო" საარსებოდ უმცირეს თანხასაც თუ ვერ აგროვებს?!



# ოლიმპური სიმშვიდე დაირღვა

## ასტანას ჯაფარიძე გადაჰყვა

საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის" ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ზურაბ ჯაფარიძე დამფუძნებლებმა კლუბიდან გაათავისუფლეს.

რა, როგორ და რატომ იყო, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა კი ფაქტია, ეს ამბავი ჩემპიონთა ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახურ „ასტანასთან" წაგებას მოჰყვა.

ცხადია, უსახურ ასტანელებთან მარცხს ვერავინ შეეგუებოდა, მით უფრო, „ოლიმპის" დამფუძნებლები.

კულუარული ცნობებით, დამფუძნებლებისა და ჯაფარიძის კონფლიქტი წაგებასთან ერთად ტრანსფერების საკითხსაც გამოუწვევია.

**კობა ინასარიძე**

# ასათიანმა 26 წელი პენალტით აღნიშნა

## როგორ აწყენინა ქართველს ბრაზილიელმა




რუსეთის რკინიგზის თასის მესამე ადგილისთვის მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივი" იტალიურ „მილანს" შეხვდა.

მალხაზ ასათიანის გუნდი 87-ე წუთამდე 3:1 უგებდა კახა კალაძისას, თუმცა იტალიელებმა მატჩის გადარჩენა შეძლეს (3:3) და პენალტების სერიაში სულაც 5:4 იმარჯვეს.

ასათიანმა მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბრაზილიელმა კაფუმ კარის ხაზიდან გამოიტანა მისი დარტყმული, მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში კი ასათიანმა, ვინც გუშინწინ 26 წლისა გახდა, ულამაზესი და უძლიერესი დარტყმით შანსი არ დაუტოვა მეკარეს.

მილანელი კახა კალაძე ამ მატჩში სათადარიგო იყო.

ტურნირი კი ჰოლანდიურმა პსვ-მ მოიგო, რომელმაც წუხელ ფინალში მადრიდის რეალი 2:1 დაამარცხა.

**კახა ზალამბერიძე**

# როგორია უფაჩულიო ნაკრები...

**ტუნისი 68:48 საქართველო**

*17:13 16:17 16:10 19:8*

**საქართველო:** ცინცაძე (5), ელისი (13), მ. მარკოიშვილი (5), სანიკიძე (3), უგრეხელიძე, ნაცვლიშვილი (14 ქულა, 9 მოხსნა), ბაბიაშვილი (4), შერმადინი (2), ლეჟავა (2), ა. ბოისა, გამყრელიძე, ტულუში

პორტუგალიურ ოთხთა ტურნირში გამოსვლა მესამე ადგილით დაასრულა საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა.

პარასკევს რუმინეთის 30 ქულით დამარცხების შემდეგ კენ შილდსის გუნდმა შაბათს მასპინძელ პორტუგალიასთან 14-ით წააგო, კვირას კი ტუნისს ვერ მოუხერხა ვერაფერი და 48:68 დამარცხდა.

ძნელია, ვინმე ახსენო ტუნისთან 20 ქულით წაგებულ თამაშში, მაგრამ მაინც: 14 ქულა გააკეთა ნაკრების კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, ხოლო 13 ქულა ამერიკელ-ქართველ ტაირონ ელისის ანგარიშზეა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ლიდერ ზაზა ფაჩულიას გარეშე თამაშობდა.

# ტრაბზონსპორმა იუბილე არ ჩაიმწარა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შაბათს თურქულ „ტრაბზონსპორთან" ამხანაგურ მატჩში 0:2 წააგო.

მარცხის მიუხედავად, ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი კმაყოფილი დარჩა: „მიხარია, რომ ნაკრებში დიდი კონკურენციაა. დაახლოებით 35 ფეხბურთელს აქვს გუნდში მოხვედრის შანსი. ძალიან მომეწონა უჩა ლობჟანიძე, რომელიც უკვე მეოთხე შეხვედრას ატარებს უმაღლეს დონეზე. კმაყოფილი ვარ ბექა გოცირიძის თამაშითაც. საერთოდ, თავდადებული შრომისთვის მთელ გუნდს მადლობა ეკუთვნის. უკვე მაქვს იმ შემადგენლობის მონახაზი, რომელმაც პოლონეთში უნდა ითამაშოს, სრულ სიას რამდენიმე დღეში დავასახელებ".

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს პოლონეთის ნაკრებთან ქართველები 22 აგვისტოს სტუმრად გამართავენ.





უჩა ლობჟანიძე

# ტრაბზონსპორმა იუბილე არ ჩაიმწარა

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა თურქულ „ტრაბზონსპორთან“ და 0:2 დამარცხდა.

ეს მატჩი „ტრაბზონსპორის“ 40 წლის იუბილეს მიეძღვნა და მასპინძლებმაც იუბილე არ ჩაიმწარეს.

ანგარიში 26-ე წუთზე გაიხსნა — ჯეიჰუნის პასით აიმანმა იხეირა. მეორე გოლი კი თურქებმა პენალტით გაიტანეს — წესები გიორგი მაკარიძემ დაარღვია. პენალტი შეცვლაზე შესულმა ომერ რიზამ გამოიყენა.

„ტრაბზონსპორის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მატჩი ორმხრივ შეტევებში გაილია და გულშემატკივარმა ლაღი და ლამაზი ფეხბურთი ნახა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს.

*ტრაბზონსპორი:* *თოლგა (ახმედი 46), იაბი (პირზარჯი 46), ტაიფუნი (სეიპანი 46), ერდინჩი (ჯალიდაჩი 46), ფერჰათი (მუსტაფა 46), სერკანი (იუსუფი 46), ჰუსეინი (ადნანი 46), აიმანი (ჰასანი 46), ჯეიჰუნი (ერგინი 46), გიოკდენიზი (ომერ რაზა 46), უმუთი (იატარა 46).*

*საქართველო:* *მაკარიძე, მჭედლიშვილი (დვალიშვილი 66), გვაძაბია (თავბერიძე 85), ლობჟანიძე, ნავალოვსკი, ბენაშვილი, მახარაძე, ხიდეშელი (დაუშვილი 85), ჩირიკაშვილი (სანაია 63), ბ. გოციირიძე (ბ. ქლენტი 78), კახელიშვილი (თარგამაძე 83).*

თურქული ვებგვერდის შეფასებით, ყველაზე მაღალი ქულა სამმა ფეხბურთელმა მიიღო — თურქმა გიოკდენიზმა და ქართველებმა, ზურაბ გვაძაბიამ და გიორგი ხიდეშელმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რაპიდმა დინამომდე დერბი გადაიტანა

**უეფას თასის** მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე ვენის „რაპიდმა“ ავსტრიის ჩემპიონატში მეოთხე მატჩი ჩაატარა.

„რაპიდს“ საკმაოდ რთული თამაში ჰქონდა — დერბი „აუსტრიასთან“.

დაძაბულ და უხეშ მატჩში მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ გაეყარნენ.

ამ მატჩის შემდეგ „რაპიდს“ ოთხი თამაშიდან შვიდი ქულა მოუგროვდა და ლიდერთა შორის ტრიალებს.

„რაპიდმა“ „აუსტრიასთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჰაიერი, კაცერი, ტოკიჩი, პატოჩკა, ჰიდენი, ქორქმაზი, ჰოფმანი, ჰაიკენენი, ბოშკოვიჩი (კავლაკი 46), ბაზინა (ჰოფერი 72), ბილიჩი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



„რაპიდის“ თავკაცი პეტერ პაცულტი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# იტალიამ ადგილი თქვა

**საქართველოს** ნაკრები ევროპის 2008 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩის ჩასატარებლად 13 ოქტომბერს იტალიას ესტუმრება. აპენინელებმა უკვე შეარჩიეს მასპინძელი ქალაქი და სტადიონი — გენუა, „ლუიჯი ფერარისი“

„ლუიჯი ფერარისს“ მარასის სახელითაც იცნობენ და მისი ტევადობა 40 117 მაყურებელია.

„აძურის“ გენუაში 23 მატჩი უთამაშია, აქედან 13 მოუგია, 8 ფრედ დაუმთავრებია და მხოლოდ ორი წაუგია. ბურთების შეფარდება 50:20-ზეა.

ბოლო მატჩი იტალიის ნაკრებმა გენუაში 2004 წლის 28 ოქტომბერს გამართა — ესპანეთთან ამხანაგური შეხვედრა 1:1 დასრულდა. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა იტალიელთა ბოლო ოფიციალური მატჩიც გენუაში — 1991 წლის 13 ნოემბერს ნორვეგიის ნაკრებთან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო ევროპაში გაიზარდა

**უკრაინა-რუსეთში** მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს ნელნელა ემატებიან სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველებიც...

გერმანიაში თასის მატჩები გაიმართა. პირველ თუ მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველთა ყველა გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა. ერთადერთი, „კარლსრუემ“ და ალექსანდრე იაშვილმა იწვალეს და საქმე მხოლოდ დამატებით დროში მოილიეს. „იაშკამ“ 120 წუთი ითამაშა, მისმა გუნდმა კი „ნეუსტერლიცს“ 2:0 მოუგო.

ცოტა გაუჭირდა „პადერბორნსაც“, მაგრამ მშველელად სწორედ ჩვენებური მოევლინა. დავით სირაძემ ახალ გუნდში პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა და პირველი გოლიც გაიტანა — დებიუტიც ასეთი უნდა. სირაძის ერთადერთი გოლით „პადერნბორნმა“ მოყვარულ ლევერკუზენელებს მოუგო.

90 წუთი ითამაშა მათე ღვინიანიძემ, რომელმაც „მიუნხენ 1860“-ის დაცვის ცენტრი გაამაგრა. „ლომებმა“ კი 3:0 მოუგეს „ვერლს“.

ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „გერა“ იენის „კარლ ცაისმა“, მაგრამ არც ერთ ქართველს არ უთამაშია. გიორგი სეთაურიძის ამბავი გასაგებია — ტრავმა აქვს, მაგრამ ფრანკ ნოიბარტმა გიორგი ონიანიც და ილია კანდელაკიც სათადარიგოებში დატოვა.

არც ოთარ ხიზანეიშვილს მიუძღვის წვლილი „ფრაიბურგის“ გამარჯვებაში. მის გარეშე „ფრაიმ“ „ვილინგენი“ დაამარცხა — 3:1.

„შალკემ“ კი „ტრირი“ დაბომბა — 9:0. ლევან კობიაშვილი ძირითადში იყო და მწვრთნელმა მირკო სლომკამ 56-ე წუთზე შეცვალა.

საინტერესოა, რომ ყველა ჩვენებურის გუნდმა სტუმრად ითამაშა.

ისევ ფრე და ისევ **გიორგი შაშიაშვილის** საიმედო თამაში. ავსტრიულმა „შტურმმა“ შინ შარშანდელ ჩემპიონ „ზალცბურგს“ უმასპინძლა და 0:0-ს გამორჩა. ეს „შტურმის“ მეოთხე ფრეა მეხუთე მატჩში. შაშიაშვილის გუნდი ჯერჯერობით დაუმარცხებელია და ლიდერთა შორისაა.

მხოლოდ 17 წუთით გამოჩნდა მოედანზე „თუნის“ ქართველი ახალწვეული **სანდრო იაშვილი**. სანდროს შვეიცარიაში გოლების მარაგი ჯერ არ გაუხსნია, მაგრამ თუ არ ათამაშეს...

„თუნმა“ კი „ციურიხთან“ 1:3 წააგო.

რუსეთის პრემიერლიგაში დებიუტი ჰქონდა ახალ გუნდში ლევან გვაზავას, თუმც მისი შესვლა ფეხბედნიერი ვერ გამოდგა ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთვის“. გვაზავა 55-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ორ წუთში კი ვლადივოსტოკელებმა პენალტი გაუშვეს და 0:1 წააგეს პერმის „ამკართან“, სადაც ჯერ ისევ გასინჯვაზეა მიხეილ აშვეთია.

„როსტოვი“ — „კრილია სოვეტოვის“ მატჩი 1:1 დასრულდა. დავით მუჯირი ავადმყოფობის გამო გუნდს თამაშზე არც გაჰყოლია.

ალექსანდრე ამისულაშვილის ნალჩიკის „სპარტაკმა“ ჩემპიონატის ფავორიტ ცსკა-ს უმასპინძლა და ქულებიც დააკარგვინა — 1:1. ამისულაშვილმა სრულად ითამაშა.

უკრაინაში თითქმის ყველა ქართველი გამოჩნდა.

დავით კვირკველიას „ზაპოროჟიე“ დონეცკელ მეტალურგებს ესტუმრა და, რაც კარგი სტარტი გამოუვიდათ ზაპოროჟიელებს, ერთიანად ჩაყარეს წყალში — 0:3 წააგეს. კვირკველია მოედანზე 39-ე წუთზე შევიდა და მისი ხელით თამაშისთვის დაინიშნა პენალტი სტუმართა კარში.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩიც დონეცკელებმა მოიგეს (2:1) და ზაპოროჟიელთა ერთადერთი გოლის ავტორი ირაკლი მოდებაძეა.

ვლადიმერ ბურდულისა და გიორგი ციმაკურიძის ლუგანსკის „ზარიამ“ შინ გიორგი დემეტრაძის კიევის „არსენალს“ 3:1 მოუგო. ციმაკურიძე არ გამოჩენილა, ბურდული 74-ე წუთზე შეცვალეს, დემე კი 63-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

დუბლებს მოაშორა და 18-კაციან განაცხადში მეორედ შეიყვანა ლაშა ჯაკობია ხარკოვის „მეტალისტის“ მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა, თუმც „ვოსკლასთან“ (1:1) მატჩში მოედანს არ გააკარა.

„კარპატი“ 0:1 დამარცხდა სტუმრად „ხარკოვთან“, ახალწვეული გიორგი ლომაია განაცხადშიც არ ყოფილა.

უჟგოროდის „ზაკარპატიემ“ გვარიანი ბრძოლა გაუმართა დონეცკის „შახტარს“ და მხოლოდ ბრანდაოს გვიანი გოლით წააგო 0:1. ოთარ მარცვალაძემ 90 წუთი ითამაშა.

ვასილ გიგიაძის „ნეფტიანიკმა“ კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცს“ უმასპინძლა და ისევ დამარცხდა — 0:1. გიგიაძეს თავისიც და გუნდის გოლების ანგარიშის გახსნაც შეეძლო მიმდინარე ჩემპიონატში, მაგრამ პენალტი გააცუდა. მჟავანაძე კი ისევ უქმობს.

ტურის მთავარი მატჩი კი კიევში გაიმართა, სადაც „დინამომ“ ჩემპიონატის ლიდერს, ჯაბა კანკავას დნიპროპეტროვსკის „დნიპროს“ მასპინძლობდა. დნიპროელებმა კიდევ ერთი სენსაცია გააზერხეს და შარშანდელი ჩემპიონი 3:1 დაამარცხეს. ამ გამარჯვებაში კანკავას 90-წუთიანი წვლილიცაა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გიო ახვლედიანის სვეტი

# აგვისტოს ბრძოლები

ისევ აგვისტოა და დარჩა მხოლოდ თბილისის „დინამო“ ამ აგვისტოს, ახლა უკვე ვენის „რაპიდის“ პირისპირ და ეს ორმატჩიანი ბრძოლა რას მოგვიტანს, საინტერესოცაა და ამაღელვებელიც.

თბილისის „ამერმა“ დრამაში დატოვა ევროპული სარბიელი — ნაბიჯი კი არა, სანტიმეტრი დააკლდა იქამდე, რომ პოლონური გკს დაემარცხებინა. საერთოდ, „ამერს“ ეხერხება დრამაში თამაში და ბრძოლის რაღაცნაირ, შინაგან სანახაობაში გადატანა, ორთაბრძოლა დაძაბულობის ფონზე და რამდენიმე ასეთი რამ, რაც, მგონი, მის სტილადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ამ გუნდის უკეთესი საზომი სწორედ დაძაბულობის ფონზე მიმდინარე თამაშია ხოლმე. გაიმარჯვებს თუ ვერა, „ამერი“ ასეთი შეხვედრების შემდეგ აუცილებლად გაგიჩენს გრძნობას და შენს მეხსიერებაშიც დარჩება.

ეჰ, სამწუხაროდ, „დინამო“ მარტო დარჩა... თუმცა „დინამო“ ჯერჯერობით იქაა და ესეც ვნახოთ, რა ფორმაშია ახლა „რაპიდი“, რომელიც ევროპული ფეხბურთის ძალთა გადანაწილებამ კარგა ხანია, დაკარგა ჩვენს თვალთაგან. „დინამოს“ კი ბოლო დროს დახვეწილობა ემჩნევა და სიმწყობრესაც ავლენს, რაც, თუ მისი მწვრთნელის ვინაობას გავიხსენებთ, გასაკვირი სულაც არ არის. ამიტომ „დინამო“ — „რაპიდმა“, შესაძლოა, სრულიად განსაკუთრებული ელფერი შეიძინოს.

განსაკუთრებული თამაში ამ ზაფხულს თბილისში უკვე იყო: „ამერი“ — გკს, მაგრამ ეს უიღბლოდ დასრულდა. ეგებ „დინამომაც“ გვაჩუქოს განცდებით სავსე თამაში, ოღონდ იღბალი ამ ჯერზე ჩვენს მხარეს იყოს.

„ამერმა“ შარშანაც დიდი ბრძოლით დატოვა ევროპული თამაშები და წლეულსაც. რა თქმა უნდა, ჯობს, რომ ამ ბრძოლების შემდეგ გუნდი შეჯიბრში მონაწილეობას აგრძელებდეს, მაგრამ... თან მოწინავე ქართული გუნდებისთვის ძალიან სასარგებლოა თუნდაც ჩვეულებრივ ევროპულ გუნდებთან თამაში: ეს არის საუკეთესო, რაც შეიძლება ჩვენმა გუნდებმა მიიღონ დასავლეთიდან.

მოკლედ, „დინამო“ — „რაპიდი“: უკანასკნელი იმედი ზაფხულის საინტერესო თავგადასავალში.

# პროფლიგის პრინციპი პრინციპულობაა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის შაბათს გამართულ ალმასკომის სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდა — საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლესი ლიგიდან მოიკვეთა და, შესაძლოა, პირველ ლიგაშიც ვერ ითამაშოს. ქუთაისელებს ოთხშაბათამდე აქვთ ვადა, რათა პირველ ლიგაში მონაწილეობისთვის საჭირო საბუთები მაინც წარადგინონ, სხვა შემთხვევაში კი, ქართული საზომებით დიდი ტრადიციების გუნდი მეორე ლიგაში დაქვეითდება.

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა ქუთაისის „ტორპედოს“ ამგვარი ვერდიქტი პროფლიგის საგანგებო კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოუტანა. მოგეხსენებათ, სწორედ პროფლიგის ინიციატივით, ამ ერთი თვის წინ უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შესასწავლად ხუთკაციანი კომისია შეიქმნა და... უმაღლეს ლიგას ჯერ საჩხერის „ჩიხურა“ დაემშვიდობა, აგერ, ახლა კი ქუთაისის „ტორპედოც... ცხადია, სამწუხაროა, რომ ამ ორ გუნდს უმაღლესში თამაშის უფლება ჩამოერთვა, თუმცა, მეორე მხრივ, ფედერაციის ალმასკომისა და პროფლიგის ასეთი პრინციპული და მკაცრი პოზიციაც გასაგებია: „ტორპედოს“ ამბავი სხვა კლუბებისთვის სამაგალითო უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, რა ხდება „ტორპედოს“ სამზარეულოში, თუმცა კი დავრწმუნდით, რომ ამ გუნდს უმაღლესში თამაში არ შეეძლო — გვითხრა პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა — საგანგებო კომისიაც იმიტომ შეიქმნა, რომ კლუბების საქმიანობა მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეესწავლა და შესაბამისი დასკვნა წარმოედგინა. ჩვენ ბოლო მომენტამდე გვქონდა იმედი, რომ „ტორპედო“ პრობლემებს მოაგვარებდა... ზოგიერთები იქნებ ფიქრობდნენ, „ტორპედოს“ უმაღლესს არ ჩამოაშორებენო, მაგრამ რაც მოხდა, უკვე ყველამ კარგად იცის... ჩვენი პოზიცია პრინციპულია და მომავალში სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდება. ახლა კი ჩათვალეთ, რომ ფედერაციის ალმასკომმა „ტორპედოს“ მიმართ ერთხელაც გამოიჩინა კეთილი ნება და გუნდს ოთხშაბათამდე მისცა პირველ ლიგაში თამაშისთვის საჭირო საბუთების მოწესრიგების ვადა. ქუთაისელები ამასაც თუ ვერ მოახერხებენ, მეორე ლიგაში ჩაქვეითდებიან...



...პროფლიგის კომისია წინა სეზონის დაწყებამდეც შეიქმნა და თავისი საქმე მაშინაც გააკეთა, მაგრამ მისი მუშაობა უფრო ეფექტური და სრულყოფილი გახდა. კომისიამ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომს გააცნო ის ვითარება, რაც დღესდღეობით „ტორპედოშია“ და ალმასკომის წევრებსაც, მათ შორის კი, კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს, ჰქონდათ რეალური საფუძველი, „ტორპედო“ უმაღლესი ლიგიდან დაექვეითებინათ. როგორი საწყენიც უნდა იყოს ალმასკომის გადაწყვეტილება ქართული ფეხბურთის ქომაგებისა და ქუთაისელებისთვის, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ნამდვილად ასე სჯობდა. ფეხბურთში საქმიანობა თავადაც ქუთაისის „ტორპედოში“ დავიწყე და წარმოიდგინეთ, ამ გუნდის დაქვეითება ჩემთვის როგორი სამწუხაროა... ქვეყნის ხელისუფლებას და ჩვენ ნაღდი ფეხბურთი გვინდა და ერთ კლუბს საერთო ინტერესს ვერ ვანაცვლებთ. ჩვენთვის დღემდე გაურკვეველია „ტორპედოს“ იურიდიული მდგომარეობა...

...მართალია, უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის საჭირო მოთხოვნებს რამდენიმე კლუბი ვერც ახლა აკმაყოფილებს, მაგრამ ის მინიმალური გარანტიები, რაც გუნდებს უმაღლესში სათამაშოდ სჭირდებათ, ყველას წარმოდგენილი აქვს. მაგალითად, „ბათუმს“ სტადიონის პრობლემა აქვს, მაგრამ ვიცით, რომ ამ ქალაქს მალე უმაღლესი სტანდარტების სტადიონი ექნება. „ბათუმს“ პატრონიც ჰყავს და ვიცით, რომ ისინი მონდომებულები არიან. „ტორპედო“ კი სხვა შემთხვევაა, ამ კლუბის საქმეებზე პასუხისმგებელი არავინ არის. როცა ვლაპარაკობთ ქართული ფეხბურთის განვითარებაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და ფეხბურთის მომგებიანობაზე, არ შეიძლება, უმაღლეს ლიგაში ისეთი გუნდი თამაშობდეს, რომელმაც შესაძლოა, პირველი ტურის შემდეგ მომდევნო ვეღარ ითამაშოს...

...პირველი ლიგის ჩემპიონატი წლეულს განსხვავებული ფორმატით ჩატარდება, მონაწილეობას 20 გუნდი მიიღებს, მაგრამ იქნება ორი ჯგუფი, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც 10-10 გუნდი ითამაშებს. ჩემპიონატი კი სამ წრედ ჩატარდება. უმაღლესის საგზურს ერთი გუნდი მიიღებს. ეჭვქვეშ იყო პირველ ლიგაში რაჭველთა მონაწილეობის საკითხიც, მაგრამ ბოლოს მათგან დამაჯერებელი არგუმენტები და გარანტიები მივიღეთ და გუნდს პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლება მივეცით. ზოგადად კი, ფედერაცია და პროფლიგა პირველ ლიგას დიდ ყურადღებას აქცევენ. მიგვაჩნია, რომ სწორედ პირველ ლიგაში უნდა იზრდებოდნენ ის კლუბები, რომლებიც შემდეგ, უმაღლესში ყოველგვარი პრობლემის გარეშე ითამაშებენ...

–უკვე ყველამ კარგად იცის, რომ ამ ჩემპიონატიდან უმაღლესი ლიგის მატჩებზე ბილეთები გაიყიდება. ფასი მინიმალური იქნება — 50 თეთრი ან 1 ლარი. უნდა დამკვიდრდეს ბილეთის ყიდვის კულტურა და ქომაგმა უნდა იგრძნოს, რომ ქართული ფეხბურთის განვითარებაში მასაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს. ჩვენი მიზანია, ფეხბური სანახაობა და ბიზნესი იყოს, ამისკენ მივისწრაფით და იმედი მაქვს, ასეც იქნება. მომავალშიც ისეთივე პრინციპულები ვიქნებით, როგორც ახლა, „ტორპედოს“ უმაღლესიდან მოკვეთის შემთხვევაში.

**კობა ინასარიძე**

# მძიმე, მაგრამ სამართლიანი: ტორპედო ქვევით ჩაგორდა

**მორჩა,** ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა! რიონისპირულმა კლუბმა ვერ შეძლო პროფლიგაში ფინანსური გარანტიების წარდგენა და ალმასკომის სხდომამაც ასეთი ვერდიქტი გამოუტანა.

განაჩენს უსამართლოს ვერ დავარქმევთ — „ტორპედოს“ ჯერ ვადა გადაუწიეს, მერე კი ბოლო წამამდე ელოდნენ მათგან პასუხს, მაგრამ...

ტრადიციებითა და ტიტულებით ქვეყნის მეორე გუნდი მავანთა და მავანთა უთავბოლობას შეეწირა და ახლა, სულ ცოტა, ერთი წლით მოუწევს პირველ ლიგაში ყურყუტი.

ალმასკომისვე გადაწყვეტილებით, „ტორპედოს“ ადგილს უმაღლესში გორის „დილა“ შეავსებს, რომელიც წინა სეზონში გავარდა, თუმც პირველ ლიგაში ფინანსურად ყველაზე მდგრადი გუნდი აღმოჩნდა. ამასთან, სტადიონის დამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამაც მოუტანა მათ დამატებითი ქულები.

გარანტიების წარდგენის შემდეგ პირველ ლიგაში თამაშის უფლება მიეცათ ტყიბულის „მეშახტეს“ და ონის „ფაზისს“.

ალმასკომის სხდომაზე შეიცვალა პირველი ლიგის ფორმატიც. გუნდები ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაიყვნენ — თითოეულში ათ-ათი გუნდი ითამაშებს.

ამის გამო შეიცვალა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ადგილების გათამაშების სისტემაც: გაისად უმაღლეს ლიგას ბოლო სამი გუნდი ავტომატურად დატოვებს, ხოლო ბოლოდან მეოთხეს პლეი ოფში მოუწევს თამაში. სამ უიღბლოს კი მხოლოდ ერთი პირველლიგელი ჩაენაცვლება — ამ ერთი საგზურისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების პირველადგილოსნები იბრძოლებენ. გამარჯვებული პირდაპირ უმაღლესშია, დამარცხებულს კი კიდევ ერთხელ მიეცემა შანსი — ბოლოდან მეოთხე უმაღლესლიგელს სწორედ ის შეხვდება.

გაუქმდა რეგიონალლიგა — მას მეორე ლიგა ეწოდა და სამ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ზონებად დაიყო.

სხდომის შემდეგ ალმასკომის წევრებს კომენტარი ვთხოვეთ...

**გოკა გაბაშვილი,** საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი: „ქუთაისურმა კლუბმა ვერ შეძლო გარანტიების წარმოდგენა და იძულებულნი ვიყავით, ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა. იმედი გვაქვს, დიდი ტრადიციების მქონე ქალაქი შეძლებს მობილიზებას, მოძლიერებას და უმაღლეს ლიგას დაბრუნებას. რაც შეეხება გორის „დილას“, ეს გუნდი მყარი ფინანსური გარანტიების საფუძველზე მივიღეთ.“

**უჩა უგულავა,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი: „ალმასკომმა ერთხმად მიიღო ეს გადაწყვეტილება. ყველას გვიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, გარკვეული შეღავათებიც გავუწიეთ „ტორპედოს“, მაგრამ მისი უმაღლესში დაშვების უფლება არ გვქონდა. გორის „დილა“ პირველ ლიგაში ყველაზე გამართული გუნდია, მათ სურვილიც გამოთქვეს უმაღლესში თამაშის, სტადიონიც კარგ მდგომარეობაში აქვთ და, სპორტული პრინციპიდან გამომდინარეც, მათ ეკუთვნოდათ ეს ადგილი.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გაგდება ერთია და არსებობა მეორე

**გაჭირვებულ-გაღატაკებული** ქუთაისის „ტორპედო“ პირველ ლიგაში დააქვეითეს, მაგრამ ისიც საკითხავია, შეძლებს თუ არა „ტორპედო“ საერთოდ არსებობას — კლუბს ამის საშუალებაც არ აქვს.

„ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. კლუბის მეპატრონის, „სამი ტუზის“ გადაწყვეტილებას ველით. თუ ისევ მოისურვეს გუნდის დაფინანსება, შეიძლება, ვითამაშოთ, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმეს თქმა გვიჭირს“ — გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ გუნდის უფროსმა პაპუნა მელაძემ.

„სამ ტუზს“ დაფინანსება რომ სდომებოდა, აქამდეც დააფინანსებდა და მოისურვებს კი კომპანია პირველ ლიგაში მოთამაშე გუნდის დაფინანსებას? — საეჭვოზე საეჭვოა.

დღეს 12 საათზე „ტორპედოს“ ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართება. კლუბი ჟურნალისტებთან და გულშემატკივრებთან აპირებს შეხვედრას.

საპირველლიგო გარანტიები კი ოთხშაბათამდე უნდა წარადგინონ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გორში მხიარულებაა, მიზეზი კი „დილას“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა. გორელებს ეს სიხარული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა და ქუთაისის „ტორპედომ“ აჩუქეს...

# გორის დილა ქუთაისიდან გათენდა

„ყველა გახარებულია, ფეხბურთელებიც ეიფორიაში არიან — არავინ ელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას. მართალია, საწყენია, რომ „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს, მაგრამ...“ — გვითხრა „დილას“ გუნდის უფროსმა ვასილ ტლაშაძემ.

— ჩემპიონატის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა და ასეთი მოულოდნელი ცნობის შემდეგ გუნდი მზად არის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ?

— აქამდე ქალაქის ხელმძღვანელობასთან საუბრისას ნათლად გამოიკვეთა ჩვენი მიზანი — ბრძოლა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. ამიტომ გუნდი კარგად მოემზადა სეზონისთვის, მაგრამ ღმერთმა საჩუქარი გვიბოძა. ამჟამინდელი შემადგენლობით უმაღლესში თამაში გაგვიჭირდება — გუნდში მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელები არიან. ხვალ ერთხელაც უნდა შევხვდეთ ხელმძღვანელებს და ახალ დეტალებზე ვისაუბრებთ.

— ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ?

— სამ-ოთხ ფეხბურთელს უკვე ველაპარაკეთ, მაგრამ გამგეობის გარეშე ვერაფერს გადავწყვეტთ, კლუბს ისინი აფინანსებენ. ალბათ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებაზე უარს არ გვეტყვიან.

— რა გეგმები გექნებათ უმაღლეს ლიგაში?

— რადგან გადავედით, უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებთ. მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

# საჩხერელებმა თბილისში ცარიელი სკამი ჩამოიტანეს

ნუკრი ლოლაძე

„მერანი“ და „ჩიხურა“ ახალი მწვრთნელებით წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ — თბილისელთა თავკაცი თამაზ კოსტავაა, საჩხერელებს კი სოსო ფრუიძე წვრთნის.

უცნაურია, მაგრამ სტუმრებს განაცხადში სულ თერთმეტი ფეხბურთელი ჰყავდათ და როგორც დაიწყეს, ისე ჩაამთავრეს მატჩი.

თამაშის სანახავად საქართველოს ნაკრების მწვრთნელები, რალფ მინგე და ჰაინც ტოპმოლერი მოვიდნენ და ძნელი წარმოსადგენია, კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ, თუმცა მოზრდილი საქაღალდე კი ჰქონდათ მომარჯვებული, ოღონდ რისი ჩანიშვნა მოახერხეს, ამას ვერ გეტყვით.

„მერანი“ მე-19 წუთზე დაწინაურდა პენალტით, რომელიც საჩხერელთა მცველის მიერ ხელით თამაშისთვის დაინიშნა.

პენალტი ბექა ნოზაძემ გამოიყენა — 1:0.

მალე იმავ ნოზაძეს მეორედაც შეეძლო „ჩიხურას“ დამწუხრება, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი ხარიხას გაარტყა.

„ჩიხურა“ თუ რამეს ახერხებდა, ყველაფრის სულისჩამდგმელი ნიკოლოზ სტეფანიშვილი იყო. ტექნიკურმა საჩხერელმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა თბილისელებს, მაგრამ მას თანაგუნდელები მხარს ვერ უბამდნენ.




ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისი. 5 აგვისტო. 17.30 საათი. ნორჩი დინამოელი. 100 მაყურებელი

## მერანი 1:0 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 1:0 ბ. ნოზაძე (19პ) | |
| მერანი: სეფიაშვილი, გ. ლოლაძე, თ. კობიაშვილი (ქემაშვილი 82), ლომაშვილი, სარალიძე, გ. კილასონია, ზ. ავალიანი, ფურთუხია (ტყეშელაშვილი 46), ბ. ნოზაძე, ქორიძე (ვ. გოჩაშვილი 46), მ. წიქარიშვილი<br>სათადარიგონი: თევდორაძე, კობერიძე, ჯანგიძე, კ. ავალიანი<br>მწვრთნელი: თამაზ კოსტავა | ჩიხურა: მწყერაშვილი, ხვედელიძე, ცარციძე, მაჭარაშვილი, როგავა, ზ. ნოზაძე, ნადირაძე, გულიაშვილი, სტეფანიშვილი, პეტრიაშვილი, ბრეგვაძე<br>სათადარიგო: არავინ<br>მწვრთნელი: სოსო ფრუიძე |
| გაფრთხილება: ფურთუხია (4), როგავა (26) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა, ო. მოლოდინაშვილი, ზ. ბერულავა, დ. სანაია | |
| დამკვირვებელი: ნ. კაკულია | |

მეორე ნახევარში თავიდან „ჩიხურა“ ათამაშდა, შემდეგ კი უპირატესობა „მერანის“ მხარეს გადავიდა, თუმც მეტი გოლი არ გვინახავს — მანუჩარ წიქარიშვილს და ვლადიმერ გოჩაშვილს რამდენჯერმე მართებდათ გატანა, მაგრამ ხან მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც თავდამსხმელები სცოდავდნენ მარტივ სიტუაციებში.



ბადრი კეთილაძის ფოტო

სირცხვილიანი ეგზოტიკა: სანამ თამაში მორჩა, მეზობლების სარეცხი გაშრა

4 აგვისტო

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) 1:0 მეშაქრე (აგარა)**
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი; ზ. ფიფია; ვ. გუმბერიძე
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

**დილა (გორი) 4:0 ზოოვეტი (თბილისი)**
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ი. უკლება; ა. კოკაია; გ. კიკაჩეიშვილი
დამკვირვებელი: მ. ქელიძე

**მესხეთი (ახალციხე) 10:0 სძური (წალენჯიხა)**
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ს. სპიცინი; კ. გუდურაშვილი; ხ. გაგნიძე
დამკვირვებელი: დ. ჭანტურია

**სამტრედია (სამტრედია) 0:2 მგლები (ზუგდიდი)**
მსაჯები: გ. დოგრაშვილი; ი. მაჩიტიძე; კ. გაბრიაძე; პ. დოგრაშვილი
დამკვირვებელი: ლ. ლორთქიფანიძე

5 აგვისტო

**სპარტაკი (ცხინვალი) 0:2 გაგრა (გაგრა)**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; დ. კურტანიძე; ი. კაკაბაძე; კ. ჭაჭუა
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

**კახეთი (თელავი) 3:2 არაგვი (დუშეთი)**
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ბ. ქუხილავა; ბ. ჭიჭინაძე; ი. ურუშაძე
დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი

**დინამო (ბათუმი) 3:0 უნივერსიტეტი (ქუთაისი)**
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ერქვანია; ა. ბერაძე; მ. ნაკაიძე
დამკვირვებელი: გ. საყვარელიძე

**ბორჯომი (ბორჯომი) 4:0 მერანი (მარტვილი)**
მსაჯები: ო. ხეცაძე; ე. ნარმანია; ზ. ასკაროლლი; მ. ურუშაძე
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

**ტორპედო (ქუთაისი) — კოლხეთი (ფოთი)**
გადაიდო

*საპასუხო მატჩები 27-28 აგვისტოს გაიმართება*

# პლაჟი თუ ივსება, ბათუმი იცლება

„ბათუმის“ საქმე ისევ ცუდად შეტრიალდა. რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი უკვე ამ გუნდის მოთამაშე რომ გვეგონა, ახლა შევიტყვეთ, რომ მათ ზღვისპირული გუნდი დაუტოვებიათ.

ვეტერანმა გიორგი თურმანიძემ ახალციხის „მესხეთს“ მიაშურა, გიორგი ნერგაძე და შოთა ბაბუნაშვილი კი „ბორჯომში“ მივიდნენ.

„ბათუმმა“ საქართველოს თასის პირველ ეტაპზე გუშინ 3:0 მოუგო ქუთაისის „უნივერსიტეტს“ და ნამატჩევს მთავარ მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს შევეხმიანეთ ...

„საწყენია, სეზონის დასაწყისშივე პრობლემები რომ შეგვექმნა. მართალია, დღეს მოვიგეთ, მაგრამ ამ გუნდით უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაგვიჭირდება. გუნდი უკვე დატოვეს თურმანიძემ, ნერგაძემ, ბაბუნაშვილმა, ძამსაშვილმა და მოდებაძემ. ცხადია, პრობლემები რომ არ ყოფილიყო, ისინი ჩვენთან დარჩებოდნენ, ახლა კი ოდენ ადგილობრივი ფეხბურთელებით მოგვიწევს ფონს გასვლა“.

მოკლედ, ვერ არის „ბათუმი“ კარგ დღეში...



ნუკრი ლოლაძე

# პირველი ლიგა შუაზე გაიჭრა

ალმასკომის გუშინწინდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, პირველი ლიგა აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაიყო. თითოეულ მათგანში 10-10 გუნდი იქნება.

საამისოდ მცირეოდენი ცვლილების შეტანა გახდა საჭირო — დასავლეთში თავი თერთმეტმა გუნდმა მოიყარა, აღმოსავლეთში — ცხრამ, ამიტომ დასავლეთ ზონიდან ერთი გუნდი, საჩხერის „ჩიხურა“, აღმოსავლეთში ითამაშებს.

აღმოსავლეთში ხუთი ფარმ-კლუბია, რომელთაც უმაღლესში გადასვლის უფლება არ აქვთ, დასავლეთში კი ასეთი ერთია.

ჩემპიონატი კი სამ წრედ ჩატარდება

მიხეილ ჟორჟოლიანი

| აღმოსავლეთი ზონა | დასავლეთი ზონა |
|---|---|
| ოლიმპი (თბილისი) | ტორპედო (ქუთაისი) |
| დინამო 2 (თბილისი) | უნივერსიტეტი (ქუთაისი) |
| ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი) | კოლხეთი (ფოთი) |
| ამერი 2 (თბილისი) | კოლხეთი (ხობი) |
| ნორჩი დინამოელი-მერანი 2 (თბილისი) | მაღაროელი (ჭიათურა) |
| ოლიმპიკი (თბილისი) | მეშახტე (ტყიბული) |
| მეშაქრე (აგარა) | ფაზისი (ონი) |
| კახეთი (თელავი) | მერანი (მარტვილი) |
| გაგრა (გაგრა) | სამტრედია (სამტრედია) |
| ჩიხურა (საჩხერე) | ზესტაფონი 2 (ზესტაფონი) |

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
### პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

www.pfl.ge

# უფროს-უმცროსი უფროსის თვალწინ

## ლოკომოტივს ოლიმპიკს კაცნაკლულიც ეყო

თბილისი. 4 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

### ლოკომოტივი 1:0 ოლიმპიკი

| | |
|---|---|
| 1:0 გულორდავა (46) | |
| **ლოკომოტივი:** გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, მალიჩავა, ლალაძე (მ. ძლენტი 66), გულორდავა, სამხარაძე, მიქაძე, ალავერდაშვილი (ჩაგელიშვილი 56) *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ქუხილავა, ტიკურიშვილი, ბარბაქაძე, კობიაშვილი **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე | **ოლიმპიკი:** კეკელიძე, ალავიძე, გოგიაშვილი, ცუცქირიძე, როსტომაშვილი, ფურცელაძე (ბეროშვილი 71), მაისურაძე, ლვინიაშვილი, ხოკერაშვილი (იაშვილი 64), ბებუა, შონია (ოქრუაშვილი 66) *სათადარიგონი:* ქუნთელია, დაუშვილი, სანოძე, ბელთაძე **მწვრთნელი:** ლევან მელიქია |
| **გაფრთხილება:** გოგიაშვილი (19), გულორდავა (28), მიქაძე (54), სამხარაძე (88) | |
| **გაძევება:** ხოხონიშვილი (34) | |
| **მსაჯები:** თ. გვანცელაძე; თ. ხუჭუა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე | |
| **დამკვირვებელი:** ა. ორდინიძე | |



დავით გვარამაძემ გუნდი რამდენჯერმე იხსნა

მიხეილ ჟორჟოლიანი

**ზედ** მატჩის წინ გვარიანად წამოწვიმა და ამან აგვისტოს ხვატში ფეხბურთელებს თამაში გაუადვილა. სასწაული ფეხბურთი არ გვინახავს, მაგრამ მაყურებელს ნამდვილად არ მოუწყენია.

თბილისის „ლოკომოტივს" ახალბედა მეტოქის ძლევა, წესით, არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გვარიანად კი ინერვიულეს მასპინძლებმა. „ოლიმპიკს" ცოტა მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, ამ მატჩს თუ არ მოიგებდა, ნამდვილად არ წააგებდა.

ვაკელები უპირატესობას ფლობდნენ და ბურთსაც ისინი აკონტროლებდნენ. მით უმეტეს, რომ ტაიმზე მეტხანს კაცნაკლულებმა ითამაშეს, მაგრამ „ოლიმპიკი" კონტრშეტევებზე მწარედ იჩხვლიტებოდა.

სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებშიც გამოჩნდა, რომ „ლოკომოტივს" შეტევა კარგად გამოსდის, თუმც დაცვაში მოიკოჭლებს.

„ლოკომოტივის" მცველები ამჯერადაც რამდენჯერმე შეცდნენ სერიოზულად. პირველად ეს მე-14 წუთზე მოხდა, როდესაც ხოკერაშვილმა ბურთი მცველებს შორის გაუჭრა ლვინიაშვილს და მეკარესთან პირისპირ დატოვა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ჯერ გვარამაძეს გაარტყა, შემდეგ კი დამატებაზე ცარიელ კარს ააცილა...

რკინიგზელებმა ამ მატჩში ტრავმის გამო მოისაკლისეს ლიდერი ლევან ყენია, ამიტომ თავი დიდად ვერც შეტევებში გამოიჩინეს. პირველ ტაიმში ლოკომოტიველთა მხოლოდ ორი ხეირიანი შეტევა დაგვამახსოვრდა: ჯერ ირაკლი სამხარაძის ჯარიმა მოიგერია მეკარემ, შემდეგ კი გატანა გიორგი მიქაძეს მართებდა, მაგრამ კეკელიძემ არ დაანება.

34-ე წუთზე ლვინიაშვილი ისევ პირისპირ დარჩა გვარამაძესთან და ეგებ ამჯერად ეხეირა კიდეც, თუმც ლერი ხოხონიშვილმა წითელი ბარათის ფასად საჯარიმოს გარეთ დასცა.

ტაიმი ათკაციანი „ლოკომოტივის" შეტევებში გაილია, მაგრამ სახარბიელო და ხელსაყრელი არაფერი გამოსვლია.

დაიწყო მეორე ტაიმი და გოლიც ვნახეთ — მსაჯის სასტვენიდან წამმხომს პირველი წრეც არ ჰქონდა შემოვლილი, როდესაც გიორგი გულორდავამ მიქაძე-სამხარაძის კომბინაცია შედეგიანი დარტყმით დაასრულა — 1:0.

„ლოკომოტივს" უპირატესობა არც ამის შემდეგ დაუთმია, თუმცა სულ ცოტა, სამჯერ იქით გადაურჩა გაშვებულ გოლს. ჯერ ხოკერაშვილმა და ოქრუაშვილმა ააცალეს ხელსაყრელი პოზიციიდან, ბოლოს კი ალავიძეს აუღო გვარამაძემ.

საინტერესოა, რომ შეხვედრას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი დაესწრო.

საპასუხო მატჩი კი 27 აგვისტოს გაიმართება და, წესით, საინტერესო ბრძოლაც უნდა გამოდგეს.

# მაღარო მუშაობს...

## მოღრუბლულობა და დებიუტების წვიმა

ბოლნისი. 4 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია. 200 მაყურებელი

### სიონი 0:1 მაღაროელი

| | |
|---|---|
| 0:1 ტყებუჩავა (89) | |
| **სიონი:** ბობღიაშვილი, ოქროპირიძე, დ. სვანიძე, ფრიდოლინი, ბუცხრიკიძე (კვიციანი 46), რაქვიაშვილი, სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე, ქარდავა (გაგუა 46), ჩასემი (რეხვიაშვილი 73), ზ. ქუთათელაძე *სათადარიგონი:* გ. იაშვილი, პაპუაშვილი, მენთეშაშვილი **მწვრთნელი:** ნოდარ აკობია | **მაღაროელი:** დოლაძე, მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ეგაძე, გამცემლიძე, ილურიძე, ჩოგოვაძე (ტყებუჩავა 75), სეფერთელაძე, ვ. ტყემალაძე, მუშკუდიანი (ხაჭიპერაძე 58) *სათადარიგონი:* ბადურაშვილი, სამხარაძე, ზ. ტყემალაძე, ზამბახიძე **მწვრთნელი:** ბადრი ბრეგვაძე |
| **გაფრთხილება:** მგელაძე (25), ოქროპირიძე (70), ეგაძე (83), ხაჭიპერაძე (87) | |
| **მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია, ჯ. ხორავა | |
| **დამკვირვებელი:** ი. ოქროშიძე | |




დებიუტანტები: ნოდარ აკობია და ბადრი ბრეგვაძე

ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან

**ბოლნისის** „სიონს" და ჭიათურის „მაღაროელს" ახალი მთავარი მწვრთნელები ჰყავთ: ნოდარ აკობია და ბადრი ბრეგვაძე.

უმაღლეს და პირველლიგელის ამ მატჩისას აღსანიშნი ისიც იყო, რომ ორივემ ჩვენში ბევრისთვის ფუფუნებად ქცეული შეკრება გააზერხა: ქვემოქართლელები ათი დღით ურეკში იყვნენ, ზემოიმერლები კი ბაკურიანში.

თანაც, ჭიათურელები არც იმას მალავენ, რომ უმაღლესში გადასვლა სურთ.

თამაში საკმაოდ ნორმალურ ტემპში დაიწყო, რაშიც ფეხბურთელებს ამინდიც წაეხმარათ — მზეს ღრუბელი აეფარა და საგრძნობლად აგრილდა.

ოდნავ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ რეალური საგოლე შანსი არ მისცემიათ.

მატჩის მსვლელობისას ბოლნისელები რამდენჯერმე პენალტს ითხოვდნენ — პირველად მე-12 წუთზე, როცა ლევან სანიკიძის დარტყმული ბურთი გიორგი შუკაკიძეს მოხვდა ხელზე, მაგრამ ხელით თამაში არ ყოფილა და მსაჯმა მალხაზ ბეუქლიშვილმა თამაში არ შეაჩერა.

„მაღაროელმა" თანდათან თამაშიც გაათანაბრა და მოედნის ცენტრშიც დაეუფლა უპირატესობას. ნოდარ აკობიამ სამი თავდამსხმელი ათამაშა — ზვიად ქუთათელაძე, ერიკ რომეო ჩასემი და ბესიკ ქარდავა, მაგრამ „მაღაროელის" მცველები მათ გასაქანს არ აძლევდნენ. ოდენ ერთხელ იყო ხიფათის მაგვარი, როცა ქარდავამ მკერდით დაუგდო ბურთი ქუთათელაძეს, თუმც მისი დარტყმული კარს ასცდა.

სტუმრებმაც შეტევით უპასუხეს — ვაჟა ჩოგოვაძის დარტყმული მინდია ბობღიაშვილმა ვერ მოიხელთა და იქვე მყოფ ზურაბ მუშკუდიანს მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინა...

მეორე ნახევარში აკობიამ ვალერი გაგუა და მანუჩარ კვიციანი შეუშვა შეცვლაზე და სწორედ კვიციანის წაქცევისას ითხოვდნენ კიდევ ერთხელ პენალტს მასპინძლები.

გიორგი სეფერთელაძის პასით ჩოგოვაძეს შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მცველმა დაუფარა.

ამის შემდეგ თემურ რაქვიაშვილს შეეძლო მასპინძლების დაწინაურება, მაგრამ დარტყმა დააგვიანა...

ბრეგვაძემ მუშკუდიანის ნაცვლად ასევე თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე შეუშვა მოედანზე, ცოტა მოგვიანებით კი იმედა ტყებუჩავაც და სწორედ ამათ გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

მასპინძლები კი ძალიან ქაოტურად უტევდნენ. ჯერ გიორგი რეხვიაშვილის დარტყმული აილო ადვილად შალვა დოლაძემ, შემდეგ გაგუას ჯარიმა გადასცდა ჭიათურელთა კარს.

ბოლნისელებს დაღლა დაეტყოთ და სწრაფმა ხაჭიპერაძემაც აიწყვიტა. იგი ჯერ პაატა გამცემლიძის პასით დარჩა ბობღიაშვილთან პირისპირ, თუმც მეკარემ აჯობა, მალევე კი მეკარეც მოატყუა და... დაუცველ კარში დარტყმა დააგვიანა — ბობღიაშვილი მას ოდნავ შეეხო, ხაჭიპერაძე კი პენალტის იმედით დაეცა და ყვითელიც მიიღო სიმულაციისთვის.

ხაჭიპერაძემ მაინც არ მოისვენა, მარჯვენა ფრთაზე ადვილად ჩამოიცილა ბოიომო ფრიდოლინი და ჩააწოდა, იქ კი უმეთვალყურეო ტყებუჩავამ ლამის ბოლნისელთა კარის ბადე გახია — ეს 89-ე წუთზე იყო...

## ოთხთა ტურნირი
### პორტუგალია. ელვაში. 3-5 აგვისტო



# უფაჩულიოდ განმეორება ძნელია

3 აგვისტო

**საქართველო 88:58 რუმინეთი**

*25:11 16:16 24:15 23:16*

საქართველო: ცინცაძე (2), ელისი (9), მ. მარკოიშვილი (11), სანიკიძე (10), უგრეხელიძე (6); ნაცვლიშვილი (11), ბაბიაშვილი (11), გამყრელიძე (11), ტულუში (8), შერმადინი (4), ლეჟავა (3), ა. ბოისა (2)

4 აგვისტო

**პორტუგალია 70:56 საქართველო**

*16:16 20:13 15:10 19:17*

საქართველო: ცინცაძე (3), ელისი (8), მ. მარკოიშვილი (4), სანიკიძე (10), უგრეხელიძე (4); გამყრელიძე (11), ნაცვლიშვილი (7), ლეჟავა (5), ტულუში (4), ა. ბოისა, ბაბიაშვილი

**ბულგარეთში** ოთხთა ტურნირის მოლევის შემდეგ საქართველოს საკალათბურთო ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ანალოგიურ ოთხთა ტურნირში ჩაება. ტურნირს მომცრო ქალაქმა ელვაშმა უმასპინძლა და მასში პორტუგალია, საქართველო, რუმინეთი და ტუნისი მონაწილეობდნენ.

კენ შილდსის გუნდმა პორტუგალიური გამოსვლა სუსტ რუმინეთან დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი ზაზა ფაჩულია აკლდა, მაინც უპრობლემოდ დაჯაბნა მეტოქე. უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ გაირკვა, რომ ქართველები ფაჩულიას გარეშეც იოლად მოუთავებდნენ ხელს რუმინელებს, როცა საწყის ათწუთეულში 25:11 შემუსრეს მეტოქე. შილდსის შეგირდებმა მეორე მეოთხედში ერთგვარი შესვენება მოიწყვეს, დიდი, ოფიციალური შესვენების შემდეგ კი ვლახთა რბევას მიჰყვეს ხელი და საბოლოოდ 30 ქულამდე დაუმრგვალეს მათ უპირატესობა.

წლეულს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა ვიქტორ სანიკიძეს, რომელიც ტრავმის გამო ბულგარეთში გუნდს ვერაფერით მიეხმარა, ახლა კი მან რუმინელებს 10 ქულა ჩაუგდო.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მან მთლიანად გამოტოვა პორტუგალიური ოთხთა ტურნირი. ეროვნული გუნდის 23 წლის ლიდერი ამერიკაში გაფრინდა, სადაც ოფიციალური ვერსიით, თავისი გუნდის „ატლანტა ჰოქსის“ კემპში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ დადის ხმები, რომ შეიძლება, ის სხვა გუნდში გადავიდეს და ოკეანგაღმაც სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად გაფრინდა.

უხეირო რუმინეთთან არა, მაგრამ შედარებით ძლიერ პორტუგალიასთან კი ნამდვილად დაეტყო საქართველოს ნაკრებს, ფაჩულია რომ არ ჰყავდა. ბულგარეთში ის საშუალოდ 30 ქულაზე მეტს აკეთებდა და ამის გარეშეც კარგად ვიცით, რა ძალაა ზაზა ეროვნული გუნდისთვის. ახლა სასტარტო ხუთეულში მისი ადგილი დავით უგრეხელიძემ დაიკავა, რომელიც თავისთავად არაა ურიგო მოთამაშე, მაგრამ ფაჩულიას სრულფასოვნად ნამდვილად ვერ ცვლის.

პორტუგალიასთან შეხვედრაში ქართველებმა მხოლოდ პირველი მეოთხედი ითამაშეს თანაბრად, შემდეგ კი ანგარიშში თანდათან ჩამორჩნენ მასპინძლებს და საბოლოოდ 14 ქულით, 56:70 დამარცხდნენ. 11 ქულა გააკეთა ლაშა გამყრელიძემ, კვლავ 10 მოაგროვა ვიქტორ სანიკიძემ, სხვების მონაგარი კი ერთნიშნა რიცხვებში გამოიხატა.

**ირაკლი ფირცხვილი**

# რუსთავში ასტრონავტებს ელიან
## აზოტმა ენერგია და ინვესტიცია იმოვნა

**რუსთავის** „აზოტმა“ გარისკა და ევროთასებზე მონაწილეობა გადაწყვიტა — ეს ძველი ამბავია. ახალი კი ისაა, რომ ცნობილი გახდა საქართველოს ჩემპიონის პირველი მეტოქის ვინაობა. ფიბა ევროპის თასის პირველ რაუნდში „აზოტს“ ჰოლანდიური „დემონ ასტრონავტი“ დაუპირისპირდება.



ამსტერდამის „დემონ ასტრონავტი“

ცოტა რამ მეტოქე გუნდზე. ამსტერდამულ კლუბს არცთუ მდიდარი ისტორია აქვს. ისევე, როგორც ზოგადად ჰოლანდიურ კალათბურთს. დაარსდა 1995 წელს და რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატში დომინანტ გუნდად იქცა. 1999-02 წლებში ზედიზედ ოთხჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, ბოლო ხუთ სეზონში კი კიდევ ერთი ჩემპიონობა მიამატა აქტივს (2005). „ასტრონავტი“ რეგულარულად მონაწილეობს კონტინენტის საშუალო და ნაკლებად პრესტიჟულ ევროტურნირებზე, ჯერ კორაჩის და საპორტას, შემდეგ კი ულების და ფიბას ევროპის თასებზე. 1996 წლიდან ევროტურნირები არ გაუცდენია, რაც კლუბის ფინანსურ წელგამართულობაზე მეტყველებს, მაგრამ კონტინენტზე სერიოზული წარმატებებისთვის არ მიუღწევია. ყველაზე მეტი, რაც ამსტერდამელებმა შეძლეს, 2001 წელს კორაჩის თასის ნახევარფინალში გასვლა იყო.

2006-07 წლების სეზონში „დემონ ასტრონავტი“ ქვეყნის ჩემპიონატში ნახევარფინალამდე მივიდა, საერთაშორისო სარბიელზე კი ფიბა ევროპის თასზე ოთხგუნდა ჯგუფში ექვსი თამაშიდან ყველა წააგო და ბოლო ადგილზე გასული, რაღა თქმა უნდა, ჯგუფში ჩარჩა.

რუსთაველები მეტოქეზე გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ. „ვიცით, რომ საკმაოდ ახალგაზრდა გუნდია. საშუალო ასაკია 23,5 წელი. ჰყავთ ერთი სერბი, ერთი რუსი, ერთი ინგლისელი და რამდენიმე ამერიკელი“ — ამბობს რუსთაველთა ხელმძღვანელი ამირან ხაჩიძე.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონს, ჯერჯერობით უცნობია, როგორი გუნდით და რა შემადგენლობით დაბრუნდებიან რუსთაველები ევროთასებზე. ისე კი, ეს მათი მეოთხე გასვლა იქნება ევროპაში. რუსთავის „აზოტი“ 1997, 98 და 99 წლებში მონაწილეობდა ევროთასებზე. მისი ბოლო მეტოქე იყო იმ დროს სულ ახალშექმნილი „ბკ კიევი“, რომელმაც მას შემდეგ ევროპაში საკმაოდ გაითქვა სახელი.

ერთიც: რუსთავის „აზოტი“ ფიბა ევროთასზე „ენერჯი ინვესტის“ სახელით გამოვა. ქვემოქართლელები „ასტრონავტთან“ პირველ მატჩს 30 ოქტომბერს გამართავენ, საპასუხოს კი 6 ნოემბერს. თუ ივაჟკაცეს და ჰოლანდიური ბარიერი გადალახეს, 20 და 27 ნოემბერს ბელგიურ „მონსთან“ მოუწევთ თამაში, შემდეგ კი უკვე ჯგუფური ეტაპია.

ფიბა ევროპის თასის ფორმატი: ტურნირში მონაწილეობს 38 გუნდი. აქედან 26 პირდაპირ ზის მეორე ეტაპზე. დაბალი რეიტინგის მქონე 12 გუნდი კი წყვილდება და შინ და გარეთ თამაშის პრინციპით ექვს გამარჯვებულს ავლენს. ეს ექვსეული მეორე ეტაპზე უერთდება 26-ს და 32 დაწყვილებული ასევე შინ და გარეთ თამაშებით ასევე მიმოსვლით სისტემით ავლენს 16 გუნდს, რომლებიც 4-გუნდა ჯგუფებში ჯდებიან. ჯგუფებიდან ორ-ორი გუნდი გადის და კვლავ ოლიმპიური სისტემით აგრძელებს თასისკენ სვლას. ევროპულ კალათბურთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ნახევარფინალისტები ერთ დარბაზში გამართავენ ოთხთა ფინალს და გამოავლენენ თასის მფლობელს.

**ირაკლი ფირცხვილი**

# დაჰკარით დაფდაფებს!
## ახალი სეზონი დანკანისა და ოდენის დუელით გაიხსნება




გრეგ ოდენი

**ნბა-მ** 2007-08 წლების სეზონის კალენდარი გამოაქვეყნა. რეგულარული ჩემპიონატი 30 ოქტომბერს იწყება და გაისად 16 აპრილს დასრულდება, შემდეგ კი ორდღიანი შესვენებას პლეი ოფი მოჰყვება.

საინტერესო თამაშით იხსნება სეზონი. 30 ოქტომბერს ერთ-ერთ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ჩემპიონი, ტიმ დანკანის „სან ანტონიო სფურზი“ და დრაფტის პირველი ნომრის, უნიჭიერესი გრეგ ოდენის „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“. მატჩს დაესწრება ასოციაციის კომისარი დევიდ შტერნი, რომელიც დიდ შესვენებაზე საჩემპიონო ოქროს ბეჭდებს გადასცემს სანანტონიოელებს და ამით საკალათბურთო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ ვინაა წინა სეზონის დამპყრობი და მეფე.

30 ოქტომბერს კიდევ ორი თამაში გაიმართება: „სტეილზ სენთერში“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ეწვევა „ჰიუსტონ როკიტსი“, ხოლო წლევანდელი პლეი ოფის ერთგვარ რემატჩში „გოლდენ სტეიტი“ უმასპინძლებს „იუტას“.

როგორც წესი, კალენდრის შედგენისას ნბა-ს საშეჯიბრო კომიტეტი შობისთვის ანუ 25 დეკემბრისთვის საინტერესო მეტოქეებს აჯახებს ერთმანეთს. ოღონდ წლეულს დაირღვევა ტრადიცია და შაკილ ონილის „მაიამი“ და კობი ბრაიანტის „ლეიკერსი“ 2005 წლის შემდეგ პირველად აღარ შეხვდებიან ერთმანეთს. შობაზე თამაში მოუწევთ იმავ გრეგ ოდენის „პორტლენდს“ და დრაფტის მეორე ნომერ კევინ დურანტის „სიეტლს“. „ლეიკერსი“ და „მაიამი“ 25 დეკემბერს მაინც ითამაშებენ, ოღონდ არა ერთმანეთთან, არამედ შესაბამისად „ფინიქსსა“ და „კლივლენდთან“.

სხვა აქედანვე გამორჩეული თამაშებია ორი ფინალისტის, „სან ანტონიოსა“ და „კლივლენდის“ 17 იანვრის შეხვედრა სან ანტონიოში (კლივლენდში განმეორებითი 13 თებერვალს გაიმართება) და აგრეთვე 8 თებერვლის „მინესოტასა“ და „ბოსტონის“ ჯახი. ამ თამაშში უკვე ბოსტონის მაისურაში გამოწყობილი კევინ გარნეტი თავისი 12-წლიანი კარიერის განმავლობაში პირველად ითამაშებს „მინესოტას“ წინააღმდეგ.

**კოტე ყორშია**



# ქიჩინური ჩინ-მედლები

## ყველა კვარცხლბეკზე თითო ქართველი

**ჩეხეთის** ქალაქ ჟიჩინში ამ უქმეებზე 20-წლამდე ძიუდოისტთა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა და საქართველოს ნაკრებმა ლამის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ახალგაზრდების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ფირცხელიანმა ჩეხეთში ცხრა შეგირდი იახლა და მათგან შვიდმა მედალი მოიპოვა. მთავარი კი ისაა, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა შვიდივე წონით კატეგორიაში მოახერხეს კვარცხლბეკზე ასვლა. ჩვენებურებმა გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს.

60 კილოგრამში ტატამზე ამირან პაპინაშვილი გავიდა, ხუთი ბრძოლა ჩაატარა და ხუთივეში მოიგო. საჩემპიონო გზაზე კვიპროსელი ანდრეას კრასასი, ინდოელი თაპა ბაჰადური, უნგრელი ტიბორ მაიერი, პორტუგალიელი ანდრე როსა და შვედი ოლე სანდსტრიომი ჩამოიცილა.

წაუგებლად ჩაამთავრა ტურნირი ნიკო კუციამაც (81კგ), ოღონდ მას ოქროს მედლისთვის ექვსი მოგება დასჭირდა. ავსტრიელ ტომას ბრუნერსა და პოლონელ მიხალ სობიეგრაჟს ნიკომ იპონებით მოუმთავრა საქმე, კანადელ ენტონი ვალუა-ფორტიესა და პორტუგალიელ მიგელ მედეიროუშს ვაზარები აკმარა, ხოლო ჩეხ ადამ ბარტერს და გერმანელ მარკ ნატოს — კოკები.

სხვა ჩვენებურთაგან ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს ზვიად ბაზანდარაშვილი (73კგ) იყო. გერმანელ მარკ შოლთან ოქროს შეხვედრა გაფრთხილებით დათმო. ფინალამდე კი გერმანელ ფელიქს მოკერს, ავსტრიელ ფელიქს შირნჰოფერს, სლოვენიელ მარიო რუდლისა და ჩეხ იარომირ მუსილს აჯობა.

სანდრო იაკობაშვილმა (66კგ), ვალერი ლიპარტელიანმა (90კგ), კონსტანტინე მუკვანმა (100კგ) და ლევან მუქერიამ (+100კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საპრიზოს მიღმა კი მხოლოდ ოთარ ტვილდიანი (81კგ) და გოდერძი მოსიაშვილი (+100კგ) დარჩნენ.

**ოთარ ბალლაბძელიძე**



# მეორე კანდიდატი თამაზ თევზაძეა



**მოგეხსენებათ,** ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება.

ასოციაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით ახალი პრეზიდენტის არჩევნები 12 სექტემბერს ჩატარდება. პრეზიდენტობის მსურველებს კი საკუთარი კანდიდატურების წამოყენება 12 აგვისტომდე შეუძლიათ.

პირველმა პრეზიდენტობის სურვილი ვეტერანმა ხელბურთელმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა თავკაცმა ჯანო ბაგრატიონმა გამოთქვა და ასოციაციაში შესაბამისი განცხადებაც შეიტანა.

გუშინ კი მეორე კანდიდატის ვინაობა გაცხადდა. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის სამი ვიცე-პრეზიდენტიდან ერთ-ერთმა, კერძოდ კი თამაზ თევზაძემ, ვინც ამავდროულად საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველიც გახლავთ, სწორედ გუშინ შეიტანა ასოციაციაში განცხადება.

12 აგვისტომდე დრო კიდევ არის და არ არის გამორიცხული, პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს.



# რის მორბენლები, რა მხტომელები?!

## რის ჰოფამ შოუ მოიპარა

**ბლომად** ვარსკვლავები შეიყარნენ ლონდონის გრან პრიზე, „კრისტალ პალასის" სტადიონზე — აქეთ ჯერემი უორინერი და ტაისონ გაი, იქით სანია რიჩარდსი და ვერონიკა კემპბელი. მაგრამ ამ კაშკაშებს, ამერიკულად რომ ვთქვათ, შოუ მოპარა იმ სახეობის წარმომადგენელმა, რომელსაც მძლეოსნობის უფრო პრესტიჟულ დისციპლინათა ასები ცოტა ქედმაღლურად ზემოდან დასცქერიან.




ჯერემი უორინერი

ბირთვის კვრა ვერაა დიდად თვალმისავალი სახეობა. სასროლ სახეობებშიც კი ვერ პირველობს. თუკი ბადროს და უროს მტყორცნელები იარაღს 70 მეტრის იქით სცემენ, შუბის მტყორცნელებს კი 80 მეტრიც არაფრად უჩანთ, ბირთვით შეიარაღებულთა 20-მეტრიანი გასროლით აბა ვინ გაკვირდება? ხალხი ხომ ხშირად რიცხვებს და სტატისტიკას ჩასცქერის და პატივსაცემ სუბიექტებსაც ასე არჩევს.

მაგრამ ლონდონში სწორედ ბირთვის მკრელმა მოიპარა შოუ. ამერიკელ რიის ჰოფას მსოფლიო რეკორდით არ აუგუგუნებია „კრისტალ პალასის" ტრიბუნები, მაგრამ მძლავრი ნაკრავით კი გააკვირვა მილეთი. ფინალში ერთ-ერთ ცდაზე მან ბირთვი 22,43 მეტრზე ჰკრა, რაც მსოფლიოს ყველა დროის მესამე შედეგი და სეზონის რეკორდია. წლეულს 22-მეტრიანი ნიშნულიც კი არავის დაეძლია, ჰოფამ კი აილო და სეზონის რეკორდი ერთბაშად 46 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

მძლეოსნობაში კი არა ყველაფერში ასეა: თუ მეტოქე ყოჩაღი გყავს და შენც რკინის სხეული და ნერვები გაქვს, საკუთარ თავსაც კი აჯობებ. ასე იყო ჰოფას ამბავიც. ლონდონში მას თანამემამულესთან და მარადიულ მეტოქე კრისტიან კანტველთან მოუხდა შეჯიბრება. ორივე მძლავრი მკვრელია და იმ საღამოს ორივე ძალების მოზღვავებას გრძნობდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჰოფამ 21,35 მეტრზე ჰკრა. კანტველი ფინალში 20,67-მეტრიანი ნაკრავით გავიდა და იქ კიდევ უფრო წაიწია — 21,66 შედეგი აჩვენა. ჰოფას გამარჯვებას საფრთხე დაემუქრა. მანაც მოიკრიფა ძალა, ბირთვიც კარგად ამოგანგლა ცარცში, ყურქვეშ შემოიდო, დაბზრიალდა და... 22,43. მას არასოდეს გაუსვია რკინის ჭურვი ასე შორს.

„კრისმა 21,66-ზე რომ ისროლა ბომბი, მივხვდი, რომ საკუთარი თავისთვის მაქსიმუმი უნდა გამომეწურა — ყვება ჰოფა — ის მე თითქმის ყოველთვის მიგებს ფინალში და ახლაც აქეთ მიდიოდა ყველაფერი. ერთადერთი ისღა დამრჩენოდა, რომ პირადი რეკორდი გამეკეთებინა და გავაკეთე!"

შევხედოთ სხვა ვარსკვლავებსაც, თუმცა მათ მთლად ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ ციდან და არ დაუბნევიათ გულზე. ვერც უორინერმა გადალახა 44-წამიანი ზღვარი და ვერც გაი ჩამოსცდა 10 წამს.

სპრინტის მეფობაზე და ასაფა პაუელის ტახტზე მეოცნებე ტაისონ გაი ლონდონში 100 მეტრზე გამოვიდა და იმარჯვა, ოღონდ 10,02-წამიანი შედეგით არც საკუთარი თავი გაუოცებია და არც ვინმე. 10,18 წამით მეორე იყო პორტუგალიელი ფრანსის ობიკველე, შემდეგ ადგილები კი ბრიტანელებმა დაიკავეს — მარლონ დევონიშმა, კრეიგ პიკერინგმა და მარკ ლუის-ფრენსისმა.

ქალთა 200 მეტრში გამოსვლისგან თავი შეიკავა ამ დისციპლინაში საუკეთესო ელისონ ფელიქსმა. ამდენად აქ იბოგინეს 100 მეტრის პრიმადონებმა ვერონიკა კემპბელმა (22,55წამი) და ტორი ედვარდსმა. კაცთა 200-ში კი იამაიკელმა უსაინ ბოლტმა (20,06) აჯობა ვოლეს სპირმონს.

კაცთა სამხტომში 17,58 სანტიმეტრზე ისკუპა და სეზონის სესამე შედეგი აჩვენა აარიკ ვილსონმა.

**კოტე ყორშია**



რის ჰოფა



კლაგენფურტის ქალთა შეჯიბრი
ამერიკელებმა მისტი მეი-ტრენორმა და კერი ველშმა მოიგეს

# აღარც სიჭა და აღარც რთველი
## გეორ-გიამ ავსტრიაში ვერ ივარგა

**პლაჟის** ფრენბურთელებს მოცლა არა აქვთ — ახლახანს იყო, შვეიცარიულ გშტაადში მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მიმდინარეობდა და მის დასრულებისთანავე სილაზე ფრენბურთის თამაშის მოყვარულებმა იქვე, ავსტრიულ კლაგენფურტში გადაინაცვლეს, სადაც მსოფლიო ტურის მორიგი ტურნირი ჩატარდა.

ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა — გეორ და გიამ და საქამ და რთველომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლად ითამაშეს და ჯგუფური ეტაპის შემდეგ დაასრულეს პირველობა. კაცებმაც და ქალებმაც სამ-სამ თამაშში, მხოლოდ თითოს მოგება მოახერხეს და პლეი ოფში ვერ გავიდნენ.

კლაგენფურტში ოდნავ განსხვავებული სურათი იყო. ქალებმა, შედარებით დაბალი რეიტინგის გამო თამაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყეს. პირველ წრეში საქამ და რთველომ იოლად — 21:15 24:22 მოუგეს ბრიტანელებს, ბოლტონსა და ჯონსს, მაგრამ შემდეგ ასევე ორ სეტში — 18:21 15:21 უკვე თავად დამარცხდნენ ამერიკელებთან უოხოლდერთან და ტარნერთან და ჯგუფშიც ველარ შეაღწიეს.

გეორსა და გიას უფრო მაღალი რეიტინგი აქვთ და ისინი პირდაპირ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათ გარდა ჩინელები ხუ და ვუ, ლატვიელები სამოილოვსი და პლავინში და არგენტინელები კონდე და ბარაკეტი იყვნენ.

თავიდან მეთორმეტე ნომრად განთესილმა არგენტინელებმა 21-ე ნომრად განთესილ ჩვენებურებს სამ პარტიაში — 21:23 30:28 15:11 აჯობეს, ხოლო ჩინელებმა, რომელთაც განთესვის მე-5 ნომერი ჰქონდათ, ლატვიელები 21:11 21:14 დაამარცხეს. გეორ და გია მეორე წრეშიც სამ სეტში — 16:21 21:18 12:15 დამარცხდნენ ჩინელებთან, არგენტინელებმა კი ლატვიელები 29:27 21:16 დაჯაბნეს. ჩვენებმა მესამე წრეშიც სამი სეტი ითამაშეს და ლატვიელებს 21:17 18:21 15:19 მოუგეს. ჩინელებმა კი არგენტინელები 21:15 21:18 დაამარცხეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

გეორ და გია მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ კლაგენფურტში მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებული რეგლამენტი იყო და ჩვენებმა პლეი ოფში თამაშის უფლება მიიღეს. პირველ ეტაპზე გეორ-გიამ ბოერსმასა და რონსის ჰოლანდიური წყვილი 39 წუთში 21:12 22:20 დაჯაბნა, თუმც ეს იყო და ეს — მეორე წრეში ბრაზილიელი ქართველები მე-6 ნომრად განთესილ რუსებს, ბარსუკსა და კოლოდინსკის გადაეყარნენ და ორ პარტიაში — 19:21 17:21 დამარცხდნენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა პლაჟბურთელებმა დიდად, ვერც კლაგენფურტში ივარგეს, თუმცა რეიტინგში ისინი კვლავაც ისეთ პოზიციებზე არიან, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება არარეალური ნამდვილად არ უნდა იყოს.



მერიის თასი. თბილისი. 31 ივლისი-5 აგვისტო
ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15 000$

# დალიე კოკა-კოლა და მერიაც შეძინე
## ლადო ჩიხლაძის ორკვირეული იან ჰომერზე



**თბილისის** მერიის თასი ლადო ჩიხლაძემ ისევე ჩაამთავრა, როგორც კვირის წინანდელი კოკა-კოლას თასი. საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რამდენიმეთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კორტს ივლისის მეორე ნახევარში დაუბრუნდა და იქიდან მოყოლებული დილმის, იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო ცენტრში ზედიზედ ათი შეხვედრა მოიგო. პირველ ხუთეულსა და ჩემპიონობაზე წინა ორშაბათს გამცნეთ, სამშაბათს კი უკვე მეორე ტურნირი დაიწყო და ამ უქმეებზეც სწორედ მისი ნახევარფინალები და ფინალი გაიმართა.

ქართველმა ჩოგბურთელმა შაბათს მერიის თასზე უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა. ირლანდიელი ჯეიმს კლარკისგან, რეიტინგის გათვალისწინებით, სიურპრიზებს არავინ ელოდა, მაგრამ ათასეულის ფსკერზე მოჭიდებულმა თავისი ძალა ყველას აჩვენა. გაცილებით მაღლა ყოფნას რომ იმსახურებს, კლარკმა ეს ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე, ანალოგიურ საპრიზო ფონდიან — თხუთმეტი ათასიან ერევნის საერთაშორისო ტურნირზე ჩემპიონობითაც დაამტკიცა. მერიის თასზე კი ნახევარფინალამდე ორი განთესილი მეტოქე დატოვა უსაქმოდ. ირლანდიელის მთავარი პლუსი შეუპოვარი თამაში და მებრძოლი ხასიათია და სწორედ ამის ხარჯზე ანერვიულა ჩიხლაძის გულშემატკივრები დაახლოებით სამ საათს.

არადა, თამაში ისე დაიწყო, ლადოს და ყველა ქართველს რომ გაუხარდებოდა. პირველი სეტის შუაში ჩვენებურმა ირლანდიელის მოწოდება აიღო, ორქულიანი უპირატესობა მოიპოვა და სეტის ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან.

მეორე სეტში ჩოგბურთელები ტაიბრეიკამდე თავიანთ მოწოდებებზე აღებული ქულებით ავიდნენ. ჩიხლაძე ძირითადად ჩვეული უძლიერესი ჩაწოდებებით აღწევდა შედეგს. ათჯერ ეისიც ჩაუგდო მეტოქეს, კლარკი კი თითოეულ გათამაშებას სულსა და გულს აქსოვდა და შიგადაშიგ ამოსასუნთქად ეშმაკობასაც არ ერიდებოდა — რეფერის ლამის ყოველ მეორე ჩავარდნილ ბურთზე ედავებოდა. სუსტი ჩაწოდება არც ირლანდიელს ჰქონდა, მაგრამ ტაიბრეიკამდე ერთი ეისი რაა, ისიც კი არ ჩაუგდია. ტაიბრეიკი კი სწორედ ეისით დაიწყო და დასრულა. ჯეიმსის თავიდანვე მოპოვებულ სამქულიან უპირატესობას ლადომ ველარაფერი მოუხერხა.

გადამწყვეტი სეტიც მეორის ტყუპისცალი გამოდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართული აკორდით დაგვირგვინდა. კლარკს უკვე ირლანდიურმა ხასიათმაც ველარ უშველა.

მეორე ნახევარფინალში ტურნირის მერვე ჩოგანმა, ჩეხმა დანიელ ლუშტიგმა პირველ ნომრად განთესილ ხორვატს, ივან სეროვიჩს დაასრულებინა ჩემპიონობაზე ფიქრი. არადა, შეხვედრა ისე დაიწყო, ლუშტიგის ფინალისტობას ვერავინ იფიქრებდა — სეროვიჩმა პირველ სეტში მეტოქეს გეიმიც არ დაუთმო. ალბათ საბოლოო გამარჯვებასაც ვერავინ გამოსტაცებდა, თამაში კოკისპირული წვიმის გამო რომ არ შეფერხებულიყო. გამოდარებულზე კი დასვენებულმა და ხასიათგამოკეთებულმა ჩეხმა გაცილებით უკეთ დაიწყო ჩოგნის ცემა და ხორვატს შანსი აღარ დაუტოვა.

დანიელ ლუშტიგი ჩვენებურისთვისაც სასურველი მეტოქე იყო საფინალოდ. მასთან ხომ ლადოს კოკა-კოლას თასზეც ჰქონდა ნათამაშები. წინა კვირაში ქართულ-ჩეხური ბრძოლა ორ სეტში დასრულდა ჩიხლაძის სასარგებლოდ. გუშინაც ასე იყო. ქართველმა საქმეს დაახლოებით ოთხმოცი წუთი აკმარა და თბილისის მერიის თასის პირველი მფლობელი გახდა.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

# სულ დაბლა, დაბლა...



**ქართველი** ჩოგბურთელის სოფო მელიქიშვილისთვის წლევანდელი სეზონი უაღრესად წარუმატებელია. თუნდაც ყველაზე დაბალი რანგის ტურნირებზე, სოფო ვერაფრით ახერხებს თავის გამოჩენას და WTA-ს რეიტინგში სულ დაბლა და დაბლა მიექანება — არცთუ შორეულ წარსულში კლასიფიკაციის მესამე ასეულის წევრი უკვე მეშვიდე ასეულშია და ისეთი პირი უჩანს, უფრო უკან წავა.

მელიქიშვილმა მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა ვერც გასულ კვირაში შეძლო. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სენტ ჯოზეფის ჰარდზე ITF-ის ეგიდით პატარა 10-ათასიანი ტურნირი ტარდებოდა და ჩვენებური მე-4 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში სოფომ 6:3 6:3 კი მოუგო 24 წლისა და რეიტინგში 1156-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ მელისა ბერის, მაგრამ შემდეგ ველარას გახდა 21 წლის ამერიკელ კარტნი ვერნონთან, ვისაც კლასიფიკაციაში 992-ე პოზიცია უჭირავს. ქართველმა პირველი სეტი კი მოიგო, თუმცა მეტისთვის ძალა აღარ ეყო და 7:5 4:6 5:7 დამარცხდა.


ჯონ აიზნერი

AFP ვაშინგტონიდან

# აიზნერის ავი ზნე: მესამე სეტის ტაი ბრეიკი
## მაშამ ანა იცის, პატიმ — მაშა


ტომი რობრედო

AFP სოპოტიდან

**კაცები**
**ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ჰიუნგ ტაიკ ლი (5, სამხრეთ კორეა) 6:7 6:2; **ჯონ აიზნერი** (აშშ) — ტომი ჰაასი (2, გერმანია) 6:4 6:7 7:6; **გაელ მონფილზი** (9, საფრანგეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 6:3 7:5; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — პოლ კაპდევილი (7, ჩილე) 4:6 6:3 7:6

**ნახევარფინალი**

**როდიკი**-კარლოვიჩი 7:6 7:6; **აიზნერი**-მონფილზი 6:7 7:6 7:6

გსმენიათ რამე ჯონ აიზნერის შესახებ? ბუნებრივია, რომ არ გსმენიათ და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც საქართველოში კი არა, ამ აიზნერის შესახებ მის მშობლიურ ამერიკაშიც ბევრი არაფერი იციან.

ჯონ აიზნერმა ATP-ის ეგიდით გამართულ ტურნირზე პირველად წლეულს, უიმბლდონის შემდეგ, ნიუპორტის ბალახზე ითამაშა და პირველივე წრეში 6:7 3:6 დამარცხდა ბელგიელ დიკ ნორმანთან.

ამ წაგებით ჩოგბურთის მოყვარულებს თავს ვერ გააცნობ, მაგრამ ის, რასაც აიზნერი თავის მეორე საკარიერო ტურნირზე აკეთებს, ნამდვილად გამაოგნებელია და ამიერიდან ამ ბიჭის გვარი უკვე ბევრისთვის იქნება ცნობილი.

აიზნერმა პირველ წრეში ბრიტანელ ვეტერანს, ტიმ ჰენმანს 4:6 6:4 7:6 მოუგო; მეორეში მე-8 ნომრად განთესილი გერმანელი ბენჯამინ ბეკერი 3:6 7:5 7:6 დაჯაბნა; შემდეგ თავისავით უცნობ თანამემამულეს უეინ ოდესნიკს 6:7 7:6 7:6 სძლია და მეოთხედფინალში გავიდა. მთავარიც აქედან დაიწყო — მეოთხედფინალში ჯონმა მე-2 ნომრად განთესილი გერმანელი ტომი ჰაასი 6:4 6:7 7:6 დაამარცხა და ნახევარფინალში კი, უკვე ტურნირის მე-9 ნომერს, ფრანგ გაელ მონფილზს გაუსწორდა — 6:7 7:6 7:6.

ჯონ აიზნერი ფინალშია და თან დააკვირდით — ამერიკელმა ხუთივე შეხვედრაში სამი სეტი ითამაშა, თანაც ჰაასთან მატჩის გარდა, დანარჩენ ოთხში პირველი სეტის წაგების შემდეგ, მდევრის როლში იყო და ხუთივე შემთხვევაში გადამწყვეტი, მესამე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო. სულ კი ჯონმა ამ ხუთ მატჩში 10 ტაიბრეიკი ითამაშა და მათგან 7 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მონფილზმა აიზნერს 29 ეისი ჩაუგდო, მაგრამ მერე რა — თავად ამერიკელიც ბრწყინვალედ აწოდებდა, ფრანგს 23 ეისი უთავაზა და საერთოდაც, ჯონი სწორედ დიდებული მოწოდების ხარჯზე იგებს და უკვე ფინალშია, სადაც ტურნირის 2001 და 2005 წლების ჩემპიონს, ენდი როდიკს შეხვდება.

როდიკი თავად უცნობილესი ყუმბარმტყორცნია და ნახევარფინალში, ასევე მოწოდების ხარჯზე მოთამაშე 208-სანტიმეტრიან ხორვატ ივო კარლოვიჩს, აიზნერის არ იყოს, ტაიბრეიკზე ზუსტი გარჯით მოერია. როდიკმა ხორვატის 19 ეისს „მხოლოდ“ თორმეტით უპასუხა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტი ამერიკელი იყო.

ვაშინგტონის მაგარსაფარზე აქამდე ჩატარებული 26 მატჩიდან ენდის 23 აქვს მოგებული, ხოლო წლევანდელი 34 ტაიბრეიკიდან მან 27 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მოკლედ, წინ ფინალია და იქ მძლავრი მოწოდების მოყვარული ორი ამერიკელი დაუპირისპირდება ერთმანეთს — სახელიანი და უსახელო. ვივარაუდოთ, რომ მინიმუმ ერთი ტაიბრეიკი აუცილებლად იქნება.

**კაცები**
**სოპოტი. პოლონეთი. თიხნარი**
**საპრიზო 425 250 ევრო**

**მეოთხედფინალი**

**ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 5:7 6:4 6:1; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ფლორიან მაიერი (7, გერმანია) 7:6 6:3; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4 7:5; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — მარტინ ვასალო არგუელო 2:6 6:4 6:2

**ნახევარფინალი**

**რობრედო**-სიმონი 6:3 7:6; აკასუსო-მონტანესი 6:1 6:2.

**ფინალი**

**რობრედო**-აკასუსო 7:5 6:0

ტომი რობრედო ATP-ის რეიტინგის პირველი ათეულის წევრია, თანაც ესპანელია და თიხნარზე კარგად რომ თამაშობდეს, აბა, რა გასაკვირია. თუმცა გასაკვირი სულ სხვა რამ გახლავთ — 2001 წლის შემდეგ რობრედოს სათიხნარო ტიტული არ მოუგია და აჰა, ეს ნავსი პოლონურ სოპოტში გატყდა, სადაც ესპანელმა ფინალურ მატჩში შანსი არ დაუტოვა გრუნტის კიდევ ერთ მოყვარულს, არგენტინელ ხოსე აკასუსოს.

სოპოტამდე რობრედოს წლევანდელი მონაგარი ერთ ფინალს, ერთ ნახევარფინალს და ექვს მეოთხედფინალს შეადგენდა და ეს ყველაფერი პოლონეთში ტიტულით დაგვირგვინდა.

სოპოტის შეჯიბრით, ფაქტობრივად, დასრულდა სათიხნარო სეზონი — ბუქარესტსა და პალერმოში ორი პატარა ტურნირიღა დარჩა გასამართი და ამით წლევანდელ საგრუნტო კალენდარს წერტილი დაესმება.

**ქალები**
**სან დიეგო. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**მეოთხედფინალი**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:2 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (3, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (10, აშშ) 6:7 7:6 6:2; **პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — ნადია პეტროვა (4, რუსეთი) 6:4 6:4; **ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — მარია კირილენკო (რრუსეთი) 6:2 6:4

**ნახევარფინალი**

**შარაპოვა** — ჩაკვეტაძე 6:3 6:2; **შნიდერი** — დემენტიევა 7:6 6:0

ანა ჩაკვეტაძის ტრიუმფალურ სვლას ამერიკის შეერთებული შტატების კორტებზე მარია შარაპოვამ დაუსვა წერტილი. შარაპოვასთან შეხვედრამდე ანამ ამერიკულ მაგარსაფარზე მიჯრით ორი ტურნირი და ცამეტი მატჩი მოიგო. განსაკუთრებით მსუყე მე-13 გამარჯვება გახლდათ — ჩაკვეტაძემ უაღრესად დრამატულ ორთაბრძოლაში წლევანდელი უიმბლდონის ტრიუმფატორი ვინუს უილიამსი დააჩოქა.

მატჩი მართლაც დრამატული გამოდგა. პირველ სეტში ანა 5:2 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ მეტოქეს დაწევის საშუალება მისცა და ტაიბრეიკზე დამარცხდა. მეორე პარტიაში ყველაფერი პირიქით იყო — ვინუსი 5:4-ს იგებდა, მატჩზე აწვდიდა, მაგრამ ამერიკელმა თავისი შანსი ვერ გამოიყენა, მატჩპოინტი გაანიავა და მეორე ტაიბრეიკი უკვე ანამ მოიგო. ამ ნოკდაუნიდან ამერიკელი ველარ გამოვიდა და მესამე სეტში ნოკდაუნი, უკვე ნოკაუტად იქცა.

მეორე დღეს კი ანას მარცხის ჯერიც დადგა.

მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს ჩაკვეტაძე და შარაპოვა და ვიქტორიოვნამ ჯემალოვნას მეოთხედ მოუგო. ჩაკვეტაძეს, როგორც ჩანს, ერთგვარი კომპლექსი გაუჩნდა შარაპოვასი და ამ კომპლექსს ვერც სან დიეგოში მოერია. თუმცა, თავად ანა წაგებას გადაღლილობას უფრო აბრალებდა: „სირბილის თავი აღარ მქონდა. ცინცინატი, სტენფორდი, ახლა სან დიეგო — სამ კვირაში 14 მატჩი ჩავატარე. ძალების აღსადგენად დრო აღარ მეყო“.

ფინალში მაშა მისთვის საკმაოდ უხერხულ მეტოქეს, შვეიცარიელ პატი შნიდერს ხვდება. რომ არა ეს შნიდერი, ნახევარფინალი მთლიანად რუსული იქნებოდა — მეოთხედფინალში პატიმ ნადია პეტროვა დაჯაბნა და შემდეგ ამ ჯანიან გოგოს უკან მეორე რუსი, ელენა დემენტიევა მიაყოლა.

ორ რუსს თუ მოვუგე, მესამესაც მოვერევიო, იქადნება შნიდერი. „მშვენიერ ფორმაში ვარ, კორტზე მოძრაობა არ მიჭირს და თანაც, ვიცი, თუ რა იარაღი უნდა დავუპირისპირო შარაპოვას“ — განაცხადა შვეიცარიელმა.

**ქალები**
**ჰელსინკი. ფინეთი. ჰარდი**
**საპრიზო 145 000 $**

**მეოთხედფინალი**

**აგნეშკა რადვანსკა** (2, პოლონეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:4 6:1; **ჯულია ჯორჯესი** (გერმანია) — ემილი ლუა (3, საფრანგეთი) 2:0 (უარი); **ვერა დუშევინა** (8, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:7 6:3; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:7 7:6 6:1

**ნახევარფინალი**

**რადვანსკა** — პირონკოვა 6:4 6:3; **დუშევინა** — ჯორჯესი 6:4 5:7 6:3

**ფინალი**

**რადვანსკა** — დუშევინა 6:1 6:1

უაღრესად ნიჭიერმა პოლონელმა აგნეშკა რადვანსკამ მთელი შეჯიბრი სეტის წაუგებლად გალია, ხუთ მატჩის ათ სეტში ოდენ 20 გეიმი დათმო და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

**ქახა ლომჯარია**


AFP

# მართალი კოლია

**გუშინ** პოლონურ სოპოტში დასრულებულ საჩოგბურთო ტურნირზე პირველ ნომრად რუსი ნიკოლაი დავიდენკო იყო განთესილი, ვინც უიმბლდონის შემდეგ საზიზღრად თამაშობს და მატჩს მატჩზე აგებს.

სიტუაცია ვერც სოპოტში გამოსწორდა — კოლიამ პირველი წრე კი გაიარა, მაგრამ არგენტინელ მარტინ ვასალო არგუელოსთან შეხვედრის მესამე სეტში, როდესაც აგებდა, ტრავმა მოიმიზეზა და თამაში შეწყვიტა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ საბუქმეიკერო კანტორა „ბეტფაირში“ არგენტინელის მოგებაზე საეჭვოდ დიდი თანხა იყო დადებული. ტოტალიზატორმა მოგების გაცემა შეწყვიტა და არსებული ხელშეკრულების თანახმად, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას მიმართა, აქ ყველაფერი, რაღაც სუფთად არ უნდა იყოს და ეს საქმე გამოვიძიოთო.

ამასთან დაკავშირებით, დავიდენკოს აგენტმა ეკჰარდ ოემსმა განცხადება გააკეთა. „მომხდართან ჩვენ არანაირი შეხება არ გვაქვს. არც ნიკოლაი, არც მისი მწვრთნელი, არც მე, არც არავინ ჩვენი ბანაკიდან, ამ საქმეში გარეული არ არის. წარმოუდგენელია, რომ ამ გზით შევბღალოთ მისი რეპუტაცია — ბრძანა ოემსმა და დაამატა — უბრალოდ, ახლა ნიკოლაის ძალიან უჭირს. წლეულს მას ჯერ ტურნირი არ მოუგია. თანაც ის სოპოტის მოქმედი ჩემპიონი იყო და ბლომად სარეიტინგო ქულები ჰქონდა დასაცავი. ასეთ სიტუაციაში რა ჩაწყობასა და ტოტალიზატორში თამაშზეა ლაპარაკი. უბრალოდ, ფორმაში არ არის და ვერაფრით ახერხებს ძველებურად თამაშსა და მოგებას.“

ოემსმა ისიც დასძინა, რომ სოპოტში დავიდენკოს მარცხენა ფეხის ცერა თითი ასტკივდა და ეგრევე გერმანიაში წავიდა, სადაც კიოლნის უნივერსიტეტის კლინიკის ექიმებს მიმართა დასახმარებლად.

ყველა შესაბამისი დოკუმენტი უკვე პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაშია გაგზავნილიო — ესეც ოემსის სიტყვებია.

**ქახა ლომჯარია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთერთმეტე ეტაპი

# მაკებმა შარი შვეს




**წლევანდელ** გასაკვირად შარიანი სეზონი უდგას „მაკლარენ-მერსედესს“.

ორი თვის წინათ მონტე კარლოში რბოლისას მაკების ბოსობას ბრალი დასდეს, ახალბედა ლუის ჰემილტონს ჩემპიონი თანაგუნდელის ფერნანდო ალონსოს გასწრების უფლება არ მისცესო და ამის გამო გუნდს ქულების ჩამორთმევასაც კი უპირებდნენ, თუმც აპატიეს. მერე ეს ბრიტანული საჯინიბო „სკუდერია-ფერარიდან“ საიდუმლო, კონფიდენციალური ტექდოკუმენტაციის მითვისებაში დაადანაშაულეს და სასამართლო პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ბოლო წვეთი გახდა შაბათს „ჰუნგარორინგზე“ კვალიფიკაციისას მომხდარი ინციდენტი. საპოულპოზიციო ბრძოლის გასრულებამდე ორიოდე წუთიღა რჩებოდა, როცა ალონსომ და ჰემილტონმა მიყოლებით მიაკითხეს ბოქსებს საწვავ-საბურავისთვის. როგორც წესი და რიგია, ნანდოს ათიოდ წამში მოემსახურნენ მექანიკოსები და გზაც თავისუფალი იყო, მაგრამ ესპანელი რატომღაც კიდევ თითქმის ნახევარი წუთი უძრავად იდგა, ჰემი კი მორჩილად ელოდა რიგს. შედეგი „მაკლარენისთვის“ სავალალო აღმოჩნდა, რადგან ალონსომ კი შეძლო ამ ერთ-ერთ უმოკლეს საფორმულო ტრეკზე უსწრაფესად გაქროლება, მაგრამ იმ გაურკვეველი შეყოვნების მიზეზით ჰემილტონმა ველარ მოასწრო ბოლო ცდა.

მართალია, მომხდარი ერთი შეხედვით მაკლარენელთა შიდა პრობლემა იყო, მაგრამ მთლად ასეც არაა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სტიუარდებმა ზოგადი ტექნიკური რეგლამენტის დარღვევისთვის ალონსო ხუთი სასტარტო პოზიციის ჩამოქვეითებით დასაჯეს, ხოლო „მაკლარენს“ უნგრული გუნდური ქულები მოუხსნეს.

მოკლედ, კვალიფიკაციის მომგებად მეორეშედეგიანი ჰემილტონი გამოცხადდა და სალიდერო როლიც ბოლომდე შეიფერა — როგორც დაიძრა ყველაზე წინ, ფინიშამდე წამითაც არ დაუთმია მეწინავეობა და მდევარ რაიკონენს დასკვნით წრეზე მისთვის ტრასის უსწრაფესი დრო რომ არ ჩამოერთმია, ფორმულა ერთის ისტორიაში პირველი შავკანიანი პილოტი უნგრეთის დიდ პრიზს ურთულესად შესასრულებელი „დიდი სლემით“ (პოული, მოგება, უსწრაფესი წრე, ლიდერობა თავიდან ბოლომდე) მოიგებდა.

„ყინულის კაცმა“ კიმიმ თავიდან კი იყოჩაღა, როცა დაწყებისთანავე ადვილად აუარა გვერდი წინმდგომ ნიკ ჰაიდფელდს, მაგრამ მერე ერთხელაც ვერ შეძლო ჰემიზე გასასწრებად მიძალება.

მეექვსე საფეხურიდან წასულმა ალონსომ მართალია, თავიდან ორი პოზიცია დათმო, მაგრამ მალე დანაკარგიც აინაზღაურა და ბრძოლა მეოთხემ დაასრულა.

რაც შეეხება მეორე ფერარელ ფელიპე მასას, მას მეორე საკვალიფიკაციო სესიისას მექანიკოსებმა საწვავი ვერ ჩაუსხეს, რის გამოც მხოლოდ მე-14 სასტარტო პოზიცია „ერგო“ და საერთოდ უქულოდ დარჩა.

**გია ახალაძე**

ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ

Mobil 1




911 911

www.ibg.ge

## რბოლის შედეგები

### უნგრეთის დიდი პრიზი
### 5 აგვისტო. ბუდაპეშტი

დისტანცია 70 წრე — 306,663 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1:35.53,0 (191,9 კმ/სთ) |
| 2. | (3) | რაიკონენი (ფერარი) | ჩამორჩა 0,7 |
| 3. | (2) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 43,1 |
| 4. | (6) | ალონსო (მაკლარენი) | 44,9 |
| 5. | (7) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 47,6 |
| 6. | (5) | შუმახერი (ტოიოტა) | 50,7 |
| 7. | (4) | როსბერგი (უილიამსი) | 59,1 |
| 8. | (11) | კოვალაინენი (რენო) | 1.08,1 |
| 9. | (9) | ვებერი (რედ ბული) | 1.16,3 |
| 10. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 11. | (10) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 12. | (13) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 13. | (14) | მასა (ფერარი) | 1 წრით |
| 14. | (12) | ვურცი (უილიამსი) | 1 წრით |
| 15. | (19) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 16. | (20) | ფეტელი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 17. | (21) | სუტილი (სპაიკერი) | 2 წრით |
| 18. | (18) | ბარიკელო (ჰონდა) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (16) | ლიუცი (ტორო როსო) | გაიარა 43 წრე |
| (15) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 42 |
| (17) | ბატონი (ჰონდა) | 36 |
| (22) | იამამოტო (სპაიკერი) | 7 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

ჰემილტონი 1.19,781 (197,7 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

რაიკონენი 1.20,047 (197,0 კმ/სთ)

Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | ევროპა 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი, მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■10 | ■10 | 6 | ■6 | – | ■10 | | | | | | | 80 |
| 2 ალონსო, მაკლარენი, ესპანეთი | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | 2 | 8 | 2 | 8 | 10 | 5 | | | | | | | 73 |
| 3 რაიკონენი, ფერარი, ფინეთი | ■10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | ■– | 8 | | | | | | | 60 |
| 4 მასა, ფერარი, ბრაზილია | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | – | 6 | ■8 | 4 | 8 | – | | | | | | | 59 |
| 5 ჰაიდფელდი, BMW-ზაუბერი, გერმანია | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | 3 | 6 | | | | | | | 42 |
| 6 კუბიცა, BMW-ზაუბერი, პოლონეთი | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | 2 | 4 | | | | | | | 28 |
| 7 ფიზიკელა, რენო, იტალია | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | – | – | | | | | | | 17 |
| 8 კოვალაინენი, რენო, ფინეთი | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | 1 | 1 | | | | | | | 16 |
| 9 ვურცი, უილიამსი, ავსტრია | – | – | – | – | 2 | 6 | – | – | – | 5 | – | | | | | | | 13 |
| 10 ვებერი, რედ ბული, ავსტრალია | – | – | – | – | – | – | 2 | – | – | 6 | – | | | | | | | 8 |

კულჰარდი — 8, როსბერგი — 7, ტრული — 7, შუმახერი — 5, სატო — 4, ფეტელი — 1, ბატონი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი**

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | ევროპა | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | 18 | 8 | 14 | 10 | – | | | | | | | 138 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | 8 | 8 | | | | | | | 119 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | 5 | 10 | | | | | | | 71 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | | | | | | | 33 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | 5 | 2 | | | | | | | 20 |

რედ ბული — 16, ტოიოტა — 12, სუპერ აგური — 4, ჰონდა — 1 ქულა

# სარბიელი და კრონკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა 6 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 422 | პართხი-ჰიბერნიანი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 6 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 159 | ამიენი-ტრუა | 2.30 | 2.70 | 3.00 | 1.24 | 1.30 | 1.42 |
| | | ჩეხეთი 6 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 423 | სპარტა-ლიბერეცი | 1.50 | 3.55 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.07 |
| | | სლოვენია 6 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 424 | გორიცა-პრიმორიე | 1.55 | 3.40 | 4.70 | 1.06 | 1.16 | 1.97 |
| | | დანია. სუპერლიგა 6 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 6 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა 6 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.45 | 3.50 | 6.20 | 1.02 | 1.17 | 2.23 |
| 21:00 | 267 | გაის-იურგორდენი | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 21:00 | 268 | გეფლე-გიოტებორგი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 6 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.20 | 3.25 | 1.90 | 1.61 | 1.19 | 1.19 |
| | | ფინეთი 6 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 293 | ტურკუ-მიუპა | 2.00 | 3.20 | 2.80 | 1.23 | 1.16 | 1.49 |
| 20:00 | 294 | ჰიკ-ვიიკინგიტი | 1.35 | 3.90 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.50 |
| | | ირლანდია 6 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 425 | ბრეი-დროგედა | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| | | გერმანია. თასი 6 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 392 | ბურგჰაუზენი-ბაიერნი | 10.00 | 6.15 | 1.15 | 3.80 | 1.03 | 1.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10267 | გაის-იურგორდენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10422 | პართხი-ჰიბერნიანი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11267 | გაის-იურგორდენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11422 | პართხი-ჰიბერნიანი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 2.00 | 1.50 |
| 12250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2.00 | 1.50 |
| 12266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.70 | 1.75 |
| 12267 | გაის-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |
| 12276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.90 | 1.55 |
| 12422 | პართხი-ჰიბერნიანი | 1.65 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

([illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.30 | 2.50 |
| 14250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.30 | 2.50 |
| 14266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.20 | 2.60 |
| 14276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.20 | 1.70 |
| 14422 | პართხი-ჰიბერნიანი | 1.65 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | გაის-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15422 | პართხი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.17 | 4.10 |
| 16250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.22 | 3.40 |
| 16266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.12 | 4.60 |
| 16267 | გაის-იურგორდენი | 1.82 | 1.82 |
| 16276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.20 | 1.50 |
| 16422 | პართხი-ჰიბერნიანი | 1.30 | 3.00 |

### [illegible]-1ის ჯანბი-2 (0:0 [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 17234 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17266 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17267 | გაის-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17422 | პართხი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |

ველორბოლა

# კლასიკოსი ლეონარდო



AFP სან სებასტიანი

**ველოსიპედისტებმა** ორი დიდი სუპერრბოლა „ჯირო დიტალია" და „ტურ დე ფრანსი" მოილიეს და მესამის — „ვუელტა ესპანას" დაწყებამდე ერთდღიანი კლასიკური რბოლების გემო გაიხსენეს.

შაბათს ესპანეთში, კერძოდ კი ბასკურ ქალაქ სან სებასტიანში 225 კილომეტრიანი „სან სებასტიანის" კლასიკური" ჩატარდა.

ახლახანს დასრულებული „ტურის" ცნობილი სახეებიდან ბასკეთში ადგილობრივთა ჯილა ალეხანდრო ვალვერდე, კარლოს სასტრე, მიგელ ასტარლოა და ალესანდრო ბალანი ჩავიდნენ, თუმცა გამარჯვება სულ სხვას, „ლიქუიგასის" იტალიელ მრბოლს ლეონარდო ბარტანოლის დარჩა.

სან სებასტიანური რბოლის გზაზე ექვსი მთა იყო — ერთი პირველი, ორი მეორე და სამიც მესამე კატეგორიის. 29 წლის ბარტალონიმ, ვის ყველაზე დიდ წარმატებაც 2005 წლის „ვუელტა ესპანაზე" მოგებული ეტაპი იყო, ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე შეუტია. იტალიელს მხოლოდ ბელგიური „ქვიკ სტეპის" ესპანელი მრბოლი ხუან მანუელ გარატე მიჰყვა და ამათ საფინიშო ბრძოლაში კი მასპინძელს სტუმარმა აჯობა.

18 წამის შემდეგ ფინიშს მრბოლთა იმ ხუთეულმა უწია, რომელიც ბარტანოლიმა და გარატემ ათი კილომეტრით ადრე მიატოვეს. სწორედ ამ ხუთეულში იყვნენ ვალვერდე, ბალანი, არსტარლოა და სასტრე და მათ გვერდს ესპანელი კარლოს ბარედო უმშვენებდა. მესამე ადგილისათვის დავაში ვალვერდემ იმარჯვა და ამით პრო-ტურის სერიის შარშანდელმა გამარჯვებულმა მნიშვნელოვნად შეამცირა ჩამორჩენა წლევანდელი ჩათვლის პირველადგილოსანთან, იტალიელ დანილო დი ლუკასთან.

### სან სებასტიანის კლასიკა. 225 კმ
### პრო-ტურის სერის ერთდღიანი რბოლა
### სან სებასტიანი, ესპანეთი. 4 აგვისტო

| | |
|---|---|
| 1. ლეონარდო ბარტანოლი (იტალია, „ლიქუიგასი") | 5სთ 12წთ 42წმ |
| 2. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, „ქვიკ სტეპი") | იგივე დრო |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +18 წმ |
| 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე") | +18წმ |
| 5. კარლოს ბარედო (ესპანეთი, „ქვიკ სტეპი") | +18წმ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარლიტომ ივარჯიშა!



**კარლოს** ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი გახდა და პარასკევს გუნდთან ერთადაც ივარჯიშა მას შემდეგ, რაც კლუბის შეფებმა სასტუმრო „ლოურიში“ დააბინავეს. შესაძლოა, არგენტინელმა ზეგ „დანფერმლაინთან“ მატჩშიც კი ითამაშოს.

მისი ტრანსფერი სამი დღის წინ საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ინგლისსა და ბრაზილიას შორის დროში სხვაობამ შეაფერხა. კია ჯურაბჩიანი ბრაზილიაშია და ფულის გადარიცხვა ორშაბათს მოხერხდება. ირანელი ბიზნესმენი 10 მილიონ გირვანქას მიიღებს და კარლოს ტევესს შეეშვება.

კერინგტონში ვარჯიშისას ფეხბურთელის მონდომებით კმაყოფილი დარჩა ალექს ფერგიუსონი: „ძალიან გვიხარია, რომ ეს ჩახლართული საქმე როგორლაც მოვაგვარეთ. ტევესმა „კოპა ამერიკას“ შემდეგ სამი კვირა დაისვენა, მაგრამ ეტყობა, რომ მაინც კარგ ფორმაშია. გულიანად იშრომა და თვითონაც გახარებულია. ალბათ ოთხშაბათს „დანფერმლაინთან“ ვათამაშებ — თქვა „მანჩესტერის“ მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სვენს მჭადის სახელი დაავიწყდა: მანჩესტერი მანჩესტერი ეგონა

## შვედური ოცნება: 8–8–4



AFP

**„რატომ** გინდოდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადმოსვლა?“ — ჰკითხა სვენ გორან ერიკსონმა ვალერი ბოჟინოვს პრესკონფერენციაზე და შეცდომას რომ მიხვდა, „იუნაიტედი“ უმალ „სიტად“ გადააკეთა, მაგრამ დარბაზი უკვე ხარხარებდა.

„მანჩესტერ სიტის“ შეძენილ რვა ფეხბურთელს „სანმა“ „ტელევარსკვლავები“ შეარქვა, რადგან ერიკსონს ახალწვეულების თამაში ცოცხლად არ უნახავს.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ტაქსინ შინავატრას ჯიბიდან 40 მილიონი გირვაქამდე დახარჯა ტრანსფერებში „შახტარიდან“ ელანო (8 მილიონი), „ფიორენტინადან“ ვალერი ბოჟინოვი (6 მილიონი), „სოსიედადიდან“ ხავი გარიდო (მილიონნახევარი), ზაგრების „დინამოდან“ ვედრან კორლუკა (4 მილიონი), „რეჯინადან“ როლანდო ბიანკი (8 მილიონ 800 ათასი), „ატლეტიკოდან“ მარტინ პეტროვი (4 მილიონ 700 ათასი) და შვეიცარიული „სიონიდან“ ჟელსონ ფერნანდესი (4 მილიონ 200 ათასი) იყიდა. ბრაზილიელი ჯოვანი უფასოდ გადაიბირეს, ხოლო დღეს-ხვალ „პალერმოდან“ ავსტრალიელი მარკ ბრეშიანოს შეძენასაც აპირებენ 3 მილიონ გირვანქად.

სვენ გორან ერიკსონი ივლისის დასაწყისში დანიშნეს მწვრთნელად. ასეთი ტემპებით პრემიერლიგაში აქამდე არავის უვაჭრია. შვედს 30 დღეც არ დასჭირდა რვა ფეხბურთელის ტრანსფერის მოსაგვარებლად და ეს, ცხადია, რისკია, რადგან უმეტესობა მათგანის თამაში მხოლოდ ტელევიზორში უნახავს.

„მართალია — თქვა შვედმა — მაგრამ ახლა სეზონი არაა და ვერც ვნახავდი. სამაგიეროდ, ვიდეოზე ვუყურე და მეგობრებს დავეკითხე რჩევა, რომლებიც მათ კარგად იცნობენ. ვერასოდეს გამოიცნობ, თუ როგორ ითამაშებს ესა თუ ის ახალწვეული, მაგრამ მწვრთნელის საქმე ისაა, რომ სათანადოდ მოამზადოს. ვიმედოვნებ, ისინი გაამართლებენ“.

ერიკსონმა განაცხადა, რომ როცა „სიტის“ მწვრთნელობაზე თანხმდებოდა, სავარაუდო შესაძენ ფეხბურთელებზე არ უფიქრია, ამიტომაც დაადგა დიდი ჯაფა ივლისში: „სწრაფად უნდა მომეძებნა მოთამაშეები და ტრანსფერები მომეგვარებინა, მაგრამ ამ აგენტების გადამკიდე იოლად ვერაფერს გააკეთებ. ელაპარაკები, ელაპარაკები და ბოლოს ვერ გაიგებ, რომელი აგენტი რომელ ფეხბურთელს წარმოადგენს. ჩემი ოცნებაა, გუნდში მყავდეს რვა მცველი, რვა ნახევარმცველი და ოთხი თავდამსხმელი. აი, ამისკენ მივისწრაფი“.

შვედს ჰკითხეს, თუ რატომ არ შეიძინა ფეხბურთელები ინგლისური კლუბებიდან, მან კი უპასუხა, რომ ძალიან ძვირია.

„პიტერ კრაუჩის ყიდვა გვსურდა, მაგრამ გვეძვირა. როცა კარგი მოთამაშე გინდა, იაფად არავინ დაგითმობს, მით უმეტეს, ნაკრების წევრს. ზოგი კი საერთოდ უარს ამბობს გაყიდვაზე. მართალია, უცხოელები მოვიყვანეთ, მაგრამ რვაზე მეტი ბრიტანელიც გვყავს გუნდში“ — თქვა შვედმა.

„მანჩესტერ სიტის“ ტაილანდელ პატრონს ტაქსინ შინავატრას თურმე სამწლიანი გეგმა აქვს და 2010-ში გუნდი პრემიერლიგის სამეულში უნდა მოხვდეს.

„ამ სეზონში ალბათ ათეულში შევალთ, მომდევნოში ექვსეულში და ევროთასებზე გავალთ, ხოლო მერე უკვე სამეულზე ვიფიქრებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სმიტი: ჩემი კაჭკაჭობა ფერგიუსონის ბრალია




**ალექს ფერგიუსონმა** ალან სმიტი აიძულა, „მანჩესტერიდან“ წასულიყო.

26 წლის ფორვარდს მწვრთნელი სეზონის წინა შეკრებაზე ცალყბად ელაპარაკებოდა და ბიჭმაც „ნიუკასლში“ გადასვლა არჩია. მის სანაცვლოდ „კაჭკაჭებმა“ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

სმიტმა დაიჩივლა, რომ „მანჩესტერში“ თავის გამოჩენის შანსი მისთვის არასოდეს მიუციათ, ხოლო ამ ზაფხულს აზიურ ტურნეში ფერგიუსონის საქციელმა მთლად გაუნელა გუნდში დარჩენის სურვილი — იგი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ერთი მატჩიც არ დაუწყია ძირითად შემადგენლობაში.

„მალაიზიიდან დაბრუნების შემდეგ თავში მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა — აქედან უნდა წავიდე! როცა ასეთ ტურნეში არ გათამაშებენ, ეს ნიშნავს, რომ გუნდის გამოცვლის დროა. „მანჩესტერში“ უსამართლოდ მომექცნენ. დრო იყო, ძალიან კარგადაც ვთამაშობდი, მაგრამ მწვრთნელი მაინც სათადარიგოებში მტოვებდა და შანსს არ მაძლევდა. „ნიუკასლის“ თავკაცთან სემ ალარდაისთან საუბრის მერე გადავწყვიტე მანჩესტერიდან წასვლა. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მითხრა, რომ ძლიერი გუნდის გაკეთებას და ჯილდოების მოგებას გეგმავს და მე ვჭირდები“ — განაცხადა სმიტმა, რომელიც „მანჩესტერმა“ „ლიდსიდან“ 2004 წელს 7 მილიონ გირვანქად შეიძინა.

გუნდში უეინ რუნის მისვლის შემდეგ სმიტი ნახევარდაცვაში დასწიეს, მერე კი სულ გააქრეს შემადგენლობიდან. 2006-ის თებერვალში მოტეხილი ფეხი სექტემბერში მოურჩა, მაგრამ გასულ სეზონში მხოლოდ 18 მატჩში ათამაშეს. ამ ზაფხულს ნანის, ანდერსონის და ოუენ ჰარგრივზის ყიდვამ კი სმიტის გაყიდვა გამოიწვია. ახლა იგი „ნიუკასლელ“ ბიჭებთან (ოუენი, მარტინსი, ვიდუკა) ერთად შეუტევს.

„ნახევარმცველობაც შემიძლია, მაგრამ ჩემი საქმე ცენტრფორვარდობაა. თუმცა მწვრთნელი რასაც დაგავალებს, უნდა შეასრულო“ — თქვა ფეხბურთელმა, ხოლო სემ ალარდაისმა აღნიშნა: „ალანს ფეხბურთის თამაში სურს და არა „მანჩესტერის“ სათადარიგოებში ჯდომა და ხელფასის აღება. ეს მის ღირსებაზე მიუთითებს და ამიტომაც გადმოვიყვანე“.

„კაჭკაჭებმა“ სმიტის გარდა კლაუდიო კასაპა („ლიონი“), ხოსე ენრიკე („ვილიარეალი“) და ივიცა დრაგუტინოვიჩი („სევილია“) შეიძინეს.

ბრაზილიელ კასაპას „ლიონთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და მუქთად ერგო „ნიუკასლს“, რომელთანაც ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 21 წლის ესპანელი ენრიკე ინგლისურ კლუბს ხუთი წლით შეეკრა და მასში 6 მილიონი ევრო გადაიხადეს. დრაგუტინოვიჩი 2 მილიონ 500 ათასი ევრო დაჯდა და სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სარის სამი სარმა

**ჩერითი შილდი**

**ჩელსი 1:1 (პენ.0:3) მანჩესტერი**
0:1 გიგზი (35), 1:1 მალუდა (45)
**ჩელსი:** ჩეხი, ჯონსონი (სიდველი 78), კარვალიუ, ბენ ჰაიმი, ეშლი კოული (დიარა 67), შ. რაიტ-ფილიპსი, ესიენი, მიკელი, ლამპარდი, მალუდა (პიზარო 51), ჯო კოული (სინკლერი 82)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, რონალდუ, კარიკი, ბოში, სილვესტრი (ნანი 68), გიგზი (ფლეტჩერი 81), რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბენ ჰაიმი, კარვალიუ, მიკელი, რუნი
მსაჯი: ჰელსი
80 731 მაყურებელი

**–და** რა ჰქვია მიჯრით სამი პენალტის მომგერიებელ მეკარეს?! ამ კითხვაზე ალტერნატიული პასუხები არ არსებობს: ასეთ მეკარეს მატჩის გმირს უწოდებენ.

მიჯრით სამი პენალტი „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანმა კარის დარაჯმა ედვინ ვან დერ სარმა აუღო ჩელსელ ვარსკვლავებს, კლაუდიო პიზაროს, ფრენკ ლამპარდსა და შონ რაიტ-ფილიპსს და ამ სეივებით „ჩერითი შილდად" წოდებული ინგლისის სუპერთასი მოაგებინა თავის გუნდს. ხოლო მანჩესტერთაგან გამარჯვების პენალტი უეინ რუნიმ გაიტანა.

და რაკი საქმე პენალტების სერიამდე მიდგა, ეს ნიშნავს, რომ თამაში ფრედ დასრულდა.

35 წუთის თავზე მანჩესტერელთაგან უტიტულოვანესმა რაიან გიგზმა გახსნა ანგარიში მაღალ კუთხეში გატანილი გოლით, რასაც ლონდონელთა ახალწვეულმა ფლორენ მალუდამ უპასუხა, ვინც თავის მხრივ, ეშლი კოულისგან მიიღო გრძელი პასი.

ისიც გასახსენებელია, რომ ეს გუნდები ამავე „უემბლიზე" გაზაფხულზე შეხვდნენ ერთმანეთს ინგლისის თასის ფინალში და მაშინ გამარჯვება „ჩელსის" დარჩა. ახლა კი, 30-გრადუსიან სიცხეში (რასაც ინგლისელები საგანგებოდ აღნიშნავენ, ჩვენთვის კი გასაკვირი სულაც არ არის) ალექს ფერგიუსონმა იმ ფინალის მონაწილე 8 ფეხბურთელი ათამაშა სასტარტოში, ახალწვეულთა სამსახურზე კი უარი თქვა. არადა, როგორი საქმეა: ამ ზაფხულში „მანჩესტერმა" 47 მილიონი გირვანქა დახარჯა.

მეორე მხრივ, „ჩელსის" აკლდნენ კაპიტანი ჯონ ტერი და ფეხმარდი ფორვარდი დიდიე დროგბა, ვინც ტრავმას მკურნალობს.

ხოლო ყველაფრის მცოდნე და დამთვლელი BBC იუწყება, რომ ლამის ყველა სტადიონზე გოლის გამტან რაიან გიგზს „უემბლიზე" აქამდე არასდროს გაეტანა.

ერთი სიტყვით, „მანჩესტერმა" სეზონი თასის მოგებით დაიწყო.

**კოტე კეკელია**



# ტელეპატია: მალუდა დროგბას კითხულობს

**ფლორენ მალუდა** და დიდიე დროგბა ისეთი მეგობრები ყოფილან, რომ ერთმანეთის აზრებს კითხულობენ და უსიტყვოდ უგებენ მოედანზე თუ მის მიღმა.

ფეხბურთელებმა ორი სეზონი ერთად გაატარეს „გენგამში" და იქ დამძაკაცდნენ.

„ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგაც გვითამაშია — თქვა მალუდამ — მე „შატორუში" ვიყავი, ის კი „ლე მანში". მუდამ „შატორუ" იგებდა, მაგრამ დროგბას გოლი ყოველთვის გაჰქონდა. ასე რომ, მისი თამაშის მანერა ყველანაირად შესწავლილი მაქვს. ჩვენ ოჯახებითაც ვმეგობრობთ და ფეხბურთის მსგავსი ხედვა გვაქვს. ჭირში თუ ლხინში ერთად ვართ და ცხოვრებასაც ერთნაირად ვუყურებთ."

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ამბობს, რომ ტელეპატიური კავშირი აქვს დროგბასთან მოედანზე და სულ ზეპირად იცის, სად როდის იქნება ფორვარდი და როგორი პასი უნდა მიაწოდოს. ასეთი შეთამაშება კი მალუდას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიას მისცემს.

„აქ იმიტომ მოვედი, რომ ყველა მატჩში ვითამაშო. „ლიონში" ახალმისული ვიყავი და ყველა სათადარიგოობას მიწინასწარმეტყველებდა, რადგან ნაკრების ფეხბურთელების წინ არავინ დამაყენებდა, მაგრამ იქაც, როგორც მანამდე სხვა კლუბებში, დავამტკიცე, რომ ძირითადის მოთამაშე ვარ" — განაცხადა 20 მილიონ ევროდ შეძენილმა ფრანგმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კანი რიცხვებით თამაშობს

## მე ვხედავ რიბერის და ვერ ვხვდები, რას იზამს

**ოლივერ კანის** აზრით, მისთვის 21-ე და ბოლო ბუნდესლიგურ სეზონში „ბაიერნი" 21-ედ გაჩემპიონდება. მიუნხენური კლუბის კაპიტანმა არაერთხელ გალანძღა თანაგუნდელები წინა ჩემპიონატში უსულგულო თამაშისთვის, რის შედეგადაც გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა და, 11 წელიწადში პირველად, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა.




„ბაიერნის" შეფებმა გაითვალისწინეს მაშინდელი გაკვეთილები და ამ ზაფხულს 69 მილიონი ევრო დახარჯეს ახალ ფეხბურთელებში. მათ შორის უძვირესი, 24 მილიონევროიანი, ფრანკ რიბერია.

რიბერის, ლუკა ტონისა და მიროსლავ კლოზეს შეძენით გახარებული კანი იმედოვნებს, რომ კარიერას ჩემპიონობით დაასრულებს. 38 წლის მეკარისთვის ბოლო ბუნდესლიგური სეზონი მომავალ შაბათს, როსტოკში „ჰანზასთან" მატჩით იწყება.

„ნოსტალგიას არ განვიცდი და მელანქოლიური არ გავმხდარვარ, უფრო ეიფორიაში ვარ. 20 წელიწადზე მეტია, ვმეკარეობ, მაგრამ ამ სეზონს განსაკუთრებულად ველი" — თქვა გერმანელმა, რომელმაც უკვე მოიგო ლიგის თასი და „ბაიერნმა" ჯილდოსკენ მიმავალ გზაზე „ვერდერს", „შტუტგარტს" და „შალკეს" სძლია. მიუხედავად ამისა, გოლკიპერს მიაჩნია, რომ ურთულესი ჩემპიონატი და დიდი ბრძოლები ელით.

— „ჰანზას" შემდეგ გუნდი „ვერდერს", „ჰანოვერს", „ჰამბურგს" და „შალკეს" ხვდება. „ვერდერი" და „შტუტგარტი" ალბათ უმთავრესი კონკურენტები იქნებიან. ლიგის თასზე რომ დავამარცხეთ, ეს არაფერს ნიშნავს" — ასეთია კანის აზრი.

„ბაიერნის" ახალწვეულებზე კი მეკარე ამბობს:

„ახალ ფეხბურთელებს ყოველთვის მოაქვთ ენერგია და ყველა ცდილობს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას, რათა ნაკრებში ადგილი მოიპოვოს ევრო 2008-ისთვის. ეს ფაქტი „ბაიერნის" თამაშის ხარისხს ერთიორად გაზრდის. ფრანკ რიბერი კი ახალწვეულებში გამორჩეულია. ვერ მიხვდები, რას გააკეთებს მომდევნო მომენტში. მან მეჰმეთ შოლის შვიდნომრიანი მაისურა მიიღო და სწორედაც მისთვისაა, რადგან შოლივით შეუძლია გასახდელში თანაგუნდელების დაქოქვა. როდესაც ფრენკისნაირ ფეხბურთელებს ვხედავ, ვხვდები — წარმატება გველის."

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეალის ახალი მენიუ: რობენი ბალაკით




**ესპანური** მედიის ცნობით, მადრიდის „რეალმა" „ჩელსის" არიენ რობენში და მიხაელ ბალაკში 42 მილიონი ევრო შესთავაზა.

აქამდე, რამდენიმე კვირის განმავლობაში, „სამეფო კლუბი" მხოლოდ რობენის ტრანსფერზე მუშაობდა, მაგრამ მოულოდნელად გერმანელი ფეხბურთელიც მოინდომა. მადრიდელებმა ჰოლანდიელისთვის ხუთწლიანი, ბალაკისთვის კი სამწლიანი კონტრაქტი გაამზადა.

ერთი კვირის წინ გერმანულ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში „რეალის" მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა განაცხადა, რომ ბალაკი მისი გუნდისთვის ზედგამოჭრილია.

„ზიდანის შემდეგ სწორედ ასეთი ფეხბურთელი გვჭირდება. ის ნახევარდაცვას თავდასხმასთან შეაკავშირებს. დარწმუნებული ვარ, ბალაკი „რეალს" მოუხდება" — თქვა შუსტერმა.

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი შარშან წაიყვანა „ჩელსიმ" „ბაიერნიდან". იგი უკეთ ჩაეწერა გუნდში, ვიდრე შევჩენკო, მაგრამ მაინც ისე ვერ „იბალაკა", როგორც „ბაიერნში".

„რეალისთვის" ამ ტრანსფერში მხოლოდ ერთი პრობლემა არსებობს — გერმანელი „ჩელსიში" კვირაში 130 ათას გირვანქას იღებს და „სამეფო კლუბსაც" ჯიბეში ხელის ღრმად ჩაყოფა მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**





# დეკუ სამშობიაროში

პეკინის „გუოანთან“ გუშინდელი მატჩის წინ რონალდინიო დაშავდა — ვარჯიშზე ფეხი მიარტყეს კოჭში და დაუსივდა. თუმცა 3:0 მოგებულ მატჩში მან მაინც ითამაშა და გოლიც გაიტანა.

მომჯობინდა ბრაზილიელი სილვინიოც.

„ბარსელონა“ სამ მატჩს გამართავს აზიაში და თითოეულ შეხვედრას დაახლოებით 90 მილიონი ადამიანი ნახავს ტელევიზიით.

გაპორტუგალიელებული ბრაზილიელი, სამი შვილის მამა დეკუ კი პეკინიდან სამშობლოში გაემგზავრა, რადგან მეოთხე შვილის დაბადებას ელის.

აზიამ კი ერთი ბარსელი უკვე „იმსხვერპლა“ — ჟულიანო ბელეტის კუნთი გაუწყდა და ათდღიანი დასვენება მოუწევს, ტურნე კი სულ რვადღიანია.

ბელეტი ბარსელონაში არ დაბრუნდება, გუნდთან დარჩება და რეაბილიტაციის კურსს იქვე გაივლის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვან ნისტელროი: არსად მეჩქარება!

„რეალის“ ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ მოიშუშა ტრავმა, რომლის გამოც მოსკოვში გუნდს „რკინიგზის თასზე“ ვერ გაჰყვა.

წინა სეზონში იგი ჩემპიონი და 26 გოლით პრიმერადივიზიონის ბომბარდირი გახდა. ვან ნისტელროიმ „ლოკომოტივი“ — „რეალის“ მატჩს ტელევიზორში უყურა, მერე კი კლუბის ვებგვერდზე განაცხადა: „თავს საუცხოოდ ვგრძნობ. თანაგუნდელებიც მამხნევებდნენ, მაგრამ ძალიან რთული ტრავმა მქონდა და ბოლომდე გამოსაკეთებლად კიდევ ცოტა დრო მჭირდება. ჩემპიონატის დაწყებამდე 100 პროცენტით მზად უნდა ვიყო. აჩქარება არ ივარგებს, რადგან გრძელი სეზონი და ბევრი მატჩი გველის“.

ამ კვირაში „რეალი“ ამხანაგურად „დეპორტივოს“ ეთამაშება და ჰოლანდიელი ამ შეხვედრაში ალბათ არ გამოჩნდება, 11 აგვისტოს სუპერთასის პირველ მატჩში კი თამაში სურს.

და რას ფიქრობს ვან ნისტელროი მწვრთნელზე?

„ბერნდ შუსტერს ბევრი ახალი იდეა აქვს და ეს ძალიან კარგია ფეხბურთელებისთვის. ვის არ სურს ლამაზი ფეხბურთის თამაში? ჩვენზე უფრო მეტად არავის, მაგრამ ქულები აუცილებელია. საბოლოოდ მთავარი მაინც გამარჯვებაა“.

ფაბიო კაპელომ სამწლიანი ლოდინის შემდეგ „რეალს“ პრიმერადივიზიონი მოაგებინა, მაგრამ გაუშვეს — პრეზიდენტ რამონ კალდერონს იტალიელის სათამაშო ყაიდა არ მოეწონა, „რეალი“ რეალურ, შემტევ ფეხბურთს უნდა თამაშობდესო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# სორიანოს ყურები და აგენტის მადა

„ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა და ფინანსურმა მენეჯერმა ფერან სორიანომ ორი დღის წინ პრესკონფერენცია გამართა და დამშეული ჟურნალისტები პასუხებით დააპურა. მან ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო გუნდი უწოდა ამჟამინდელ „ბარსას“



— ყურები არ გტკივათ?

— კითხვა ვერ გავიგე–

— სანდრო როსელიმ („ბარსას“ ყოფილი ვიცე) საჯაროდ თქვა, რომ ანრიში 24 მილიონი ევროს გადამხდელი კაცი ყურების აჩევას იმსახურებს...

— შემიძლია, დავარწმუნო როსელი, რომ ახლა რომ გვეყიდა ანრი, უფრო ძვირი დაგვიჯდებოდა.

— რამდენი?

— ბაზრის საერთო ინფლაციას თუ გავითვალისწინებთ და იმ თანხებს, რომლებსაც ახლა „რეალი“ და „მანჩესტერი“ იხდიან ფეხბურთელებში, ალბათ 30 მილიონის გადახდა მოგვიწევდა.

— თქვენზე ამბობენ, ანრის ყიდვით წინა, ჩაგდებული სეზონის მიჩქმალვას ცდილობსო...

— აგიხსნით: 2007-08-ის სეზონი მე, ფრანკ რაიკარდმა და ჩიკი ბეგირისტაინმა შარშან დეკემბერში დავგეგმეთ. ანრის და ერიკ აბიდალის შეძენაც რამდენიმე თვის წინ გადაწყდა. ჩვენ მხოლოდ ბაზარს ვსწავლობდით და შესაფერის მომენტს ველოდით.

— ქომაგები გუნდისა, რომელიც გასულ სეზონში ხელცარიელი დარჩა, ამ ზაფხულს დიდ რევოლუციას ელოდნენ შემადგენლობაში...

— მოლოდინი უსაფუძვლოა. „ბარსას“ საძირკველი ძლიერი აქვს და მხოლოდ პატარა ცვლილებები საჭიროა, რადგან კონტრრეაქცია არ დაირღვეს.

— ლაპარაკობდით კრისტიან კივუზე და გაბრიელ მილიტო იყიდეთ...

— მწვრთნელთა შტაბმა ორიდან ერთის შეძენა დამავალა.

— მართალია, რომ კივუს აგენტი ჰონორარად 3 მილიონ ევროს ითხოვდა?

— მან ვაჭრობა ოთხიდან დაიწყო. ასეთები აგენტებს გასულ საუკუნეში გასდიოდათ და ახლა აღარ გაუვათ. ნებისმიერ შემთხვევაში, „ბარსა“ აგენტს ფეხბურთელის ფასის ხუთ პროცენტზე მეტს არასოდეს მისცემს.

— ტიაგუ მოტას გაუშვებთ?

— რატომ? ის ხომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია.

— მაქსი ლოპესს რა ელის?

— მისთვის ახალ გუნდს ვეძებთ. „ბარსასთან“ კონტრაქტი 2009-ში ეწურება და მანამდე გვსურს, სადმე გავანათხოვროთ.

— გუდიონსენი დარჩება?

— ისლანდიელით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ რაიკარდი დატოვებს. გუდიონსენი მწვრთნელის გეგმის ნაწილია.

— „ჩელსიმ“ ბოიან კრკიჩში საკმაოდ სოლიდური თანხა შემოგთავაზათ: რამდენადაა დაცული ეს ბიჭი უცხო ხელისგან?

— „ჩელსის“ ინტერესი ბუნებრივია, მაგრამ კრკიჩს კარიერის გაგრძელება „ბარსელონაში“ სურს და სამწლიანი კონტრაქტი აქვს. 18-ის რომ შესრულდება, პროფესიულ ხელშეკრულებას გავუფორმებთ.

— ეტოო იყიდება თუ არა?

— მისი შეძენა „მანჩესტერს“, „ჩელსის“, „არსენალს“, „მილანს“ და კიდევ ბევრ სხვა კლუბს უნდოდა, მაგრამ კამერუნელი ხელშეუხებელია. მისი ტრანსფერი არც კი განიხილება. ბეგირისტაინმა განაცხადა, რომ სამეული სამომავლო გეგმის მთავარი ფიგურაა და თვითონ ფეხბურთელსაც „ბარსაში“ თამაში სურს.

— დეკუ რას იზამს?

— ცხადია, მწვრთნელი მისგან გასულ სეზონში ბევრად უკეთ თამაშს ელოდა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ დეკუ მომავალშიც „ბარსასთვის“ საჭიროა და ამიტომ არ იყიდება. ზოგადად, ქომაგი ტყუილად არ უნდა ღელავდეს ამა თუ იმ ფეხბურთელის შესაძლო წასვლის გამო. ჩუმად არავის გავყიდით. თუ დავაპირებთ, ხალხს წინასწარ გავაგებინებთ.

— წინა სეზონში რამდენჯერმე კონფლიქტი მოხდა გასახდელში და ამბობდნენ, რომ რაიკარდს ვარსკვლავების მართვა უჭირს...

— მწვრთნელმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და შეგვპირდა, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება.

— სიახლე კიდევ იქნება გუნდში?

— ამჟამად, ჩემი აზრით, ყველა დროის საუკეთესო გუნდი გვყავს. ამას ჩვენი ევროპელი მეტოქეებიც კი აღიარებენ. პრიმერადივიზიონის მოგება აცილებელი პირობაა, რაც შეეხება შანსებს ჩემპიონთა ლიგაში, ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

# ძაღლი, კატა და რაოლა

„ბარსელონა“ ფრენკ ლამპარდისთვის ახალ წინადადებას ამზადებს — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი“. ჩელსელი ნახევარმცველის გადაბირებას ესპანური კლუბი იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას აპირებს. ამ საქმის მოკვარახჭინებას „ბარსა“ ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ ვისენტე რაოლა იკისრებს.

ლამპარდის კატალონიელ ცოლს ელენ რივზს სამშობლოში დასახლება აუჩემებია მას შემდეგ, რაც „ნიუს ოფ ზე ვორლდმა“ ფეხბურთელი ღალატში ამხილა — ლას ვეგასში შავტუხა ლამაზმანთან „ჩაასურათეს“. ლამპარდების ოჯახის მავანმა მეგობარმა თქვა: „29 წლის ელენს მოსწყინდა ლონდონი და გარემოს გამოცვლა სურს. სახლში ფრენკი და მისი ცოლი ძაღლ-კატასავით არიან“.

ინგლისელ ფეხბურთელი „ჩელსიში“ კვირაში 100 ათას გირვანქაზე მეტს იღებს. კონტრაქტი 2009-ში ეწურება და გახანგრძლივებას უარობს კლუბის ასეთი შეთავაზების მიუხედავად.

**ვაჟა ხუციშვილი**


ფრენკი და ელენი

# ლუჩანო მოჯის საიდუმლო მასალები

## რატომ გადარჩა ინტერი და რა შუაშია კოლინა?



**ლუჩანო მოჯი** ისევ ალაპარაკდა და ისეთები თქვა, თქვენი მოწონებული...

მოგეხსენებათ, „იუვენტუსის" ყოფილი გენერალური დირექტორი მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში მთავარ დამნაშავედ და მეტიც, დანაშაულებრივი ქსელის შემქმნელად ცნეს. მას იტალიაში სახელი გატეხილი აქვს, მაგრამ მოჯიმ რომ იმაზე მეტი იცის, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია, ალბათ, თავადაც ხვდებით. სხვა საქმეა, როგორ მოეკიდებიან და აღიქვამენ მის სიტყვებს.

„მე ერთადერთი ვარ, ვინც რეალურად დაიცვა „იუვე" — ამბობს მოჯი — ყველამ ამ გუნდს შეაწმინდა ხელი და კლუბი ზედმეტად დაისაჯა. თუ ამ ყველაფერის კარგად განიხილავენ, მზად ვარ, ადვოკატიც ვიყო. შემეკითხებით, მთელი კალჩოპოლის სკანდალი „იუვენტუსის" ოჯახში სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების გამო აგორდა თუ არა? როგორც გაირკვა, ოჯახში ისეთი ჩახლართული ქსელები და დაჯგუფებები ყოფილა, ამას მეც ვერ წარმოვიდგენდი."

საქმე ისაა, რომ ჯანი და უმბერტო ანიელების გარდაცვალების შემდეგ, როგორც ამბობენ, ტურინელთა ოჯახში დაიწყო ბრძოლა „იუვეს" ხელში ჩასაგდებად. მოჯი ამტკიცებს, რომ მთელი კალჩოპოლის სკანდალი ამიტომ აგორდა, შიგნით ხელს აძლევდა, რომ ეს ყველაფერი გამომზეურებულიყო და შექმნილი ვითარებით ესარგებლა.

„ლუკა კორდერო დი მონტეძემოლოს „იუვენტუსი" ისევე რომ დაეცვა, როგორც ახლა „ფერარის" იცავს, „ბებერ ქალბატონს" სერია B-ში არ დააქვეითებდნენ" — აღნიშნა მოჯიმ.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ „იუვენტუსს" ბოლო ორი წლის სკუდეტო ჩამოართვეს და სერია B-ში მინუს 30 ქულით დააქვეითეს, თუმცა აპელაციების შემდეგ მინუს ქულები 11-მდე შემცირდა.

განმარტებისთვის კი გეტყვით, რომ ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო ბიზნესმენია, რომელიც „ფერარის" პრეზიდენტი და FIAT-ის თავმჯდომარე გახლავთ. მისი ოფიციალური ქონება 400 მილიონ დოლარად ფასდება. ხოლო „ფერარი", „ფიატი" და „იუვენტუსი" ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი რომ არიან, ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ

ლუჩანო მოჯი: „მთავარ დამნაშავედ მე გამომიყვანეს. მთელი სიბინძურისა და მაქინაციების შემოქმედად შემრაცხეს. მათ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელობას განუცხადეს, რომ პრობლემის გადასაჭრელად „იუვენტუსის" სამაგალითოდ დასჯა საკმარისი იქნებოდა. შემდეგ კი გავიდა ხანი და იმავე ხალხმა თქვა, არაფერი შეცვლილა, ისევ ისეთი მაქინაციებით იმართება ფეხბურთიო. ხოლო სიმართლე ისაა, რომ ნამდვილი მაფია კვლავ მოქმედებს იტალიურ ფეხბურთში და მის თავში, როგორც ადრე, ისევ ფრანკო კარაროა. მას კი ის ხალხი მოჰყვება, რომელიც ახლა იტალიური ფეხბურთის სათავეში სხვადასხვა პოსტებზე დგას."

ფრანკო კარარო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტია, რომელსაც რამდენიმეწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით, აპელაციის შემდეგ, იგი უდანაშაულოდ ცნეს. კარარო ახლა ძველებურად მაღალ თანამდებობაზე აღარ მუშაობს, მაგრამ კონსულტანტი და იტალიურ საფეხბურთო წრეში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა.

„შემიძლია, გითხრათ, რომ უამრავი სატელეფონო საუბარი ჩაწერეს, მაგრამ გამოამზეურეს მხოლოდ ის, რაც ხელს აძლევდათ. ეს კი რეალურ სურათთან შედარებით არაფერია. „მილანის" ყოფილ დირექტორ ლეონარდო მეანისა და პიერლუიჯი კოლინას შორის საუბარი გაცილებით უფრო ფასეული და საინტერესოა, მაგრამ... კოლინა დღეს მსაჯების დამნიშვნელია" — განაცხადა მოჯიმ.

როგორც ხედავთ, მოჯიმ საქმეში კოლინაც გარია, რომელიც დღემდე კარგი რეპუტაციით სარგებლობს.

„ჩემს თავს კიდევ ერთ კითხვას ვუსვამ — აგრძელებს მოჯი — რატომ არაფერი გამოაშკარავდა „ინტერზე"? პასუხი მარკო ტრონკეტო პროვერაა, რომელმაც „ყურმილი დაკიდა" და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო."

მოჯი მიანიშნებს იმისკენ, რომ „ინტერის" დირექტორი მარკო ტრონკეტო პროვერა იტალიის ტელეკომში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. თუმცა ამით მისი ბრალდებები „ნეროაძურის" მიმართ არ ამოწურულა...

„ახლა მთელი ძალა „მილანისა" და „ინტერის" ხელშია, რომლებიც ზედიზედ ოთხი სეზონის მანძილზე მოიგებენ სკუდეტოებს — რომელი რამდენს, არ ვიცი. „ნეროაძურის" ამის მისაღწევად მნიშვნელოვნად დაეხმარნენ პატრიკ ვიეირა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. სერია B-ში დაქვეითებული „იუვეს" ფეხბურთელები, რომლებსაც პირადად მე „ინტერს" არასდროს მივყიდდი. ამას ვამჯობინებდი, კლუბს, უბრალოდ, სადმე სხვაგან გაეშვა ისინი და დიდი ფული დაეკარგა. აი, ამ ხერხებით მიაღწია „ნეროაძურიმ" იმას, რასაც 18 წლის მანძილზე ვერ აღწევდა" — დასძინა მოჯიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ანჩელოტი კაკას: ჩამოდი დაბლა! კაკა ანჩელოტის: მე რა შუაში ვარ?!

**კაკას** კონტრაქტი (2012 წლამდე) გაუმზადეს და ბრაზილიელიც ბედნიერია იმით, რომ კარიერას „მილანში" გააგრძელებს.

მადრიდის „რეალი" ცდილობს კაკას ყიდვას და 80 მილიონ ევროსაც არ იშურებს, „მილანი" კი საპასუხო ნაბიჯს დგამს — ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლეს ხელშეკრულებას უხანგრძლივებს.

„დავრჩები თუ არა მილანში სამუდამოდ? ეს პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონიზეა დამოკიდებული. თუ მან თქვა, რომ ჩემი დატოვება სურს, მის გულწრფელობაში ვერ დავეჭვდები. ჩვენ უკვე შევხვდით და ამ თემაზე ვისაუბრეთ" — განუცხადა კაკამ „სკაი იტალიას".

ესპანური „ელმუნდო დეპორტივოს" ცნობით, „მილანი" კაკას ხუთწლიან კონტრაქტს და წელიწადში 4 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

მთელი ესპანური სპორტული მედია ხალისობს იმ შემთხვევით, რაც მოსკოვში მოხდა. „რკინიგზის თასზე" სათამაშოდ პსვ, „მილანი" და „რეალი" ჩავიდნენ. კაკა შეცდომით „რეალის" ავტობუსში ასულა და... მედიასაც მეტი რა უნდოდა. არადა, მთელ „მილანს" შეშლია ავტობუსი და ესპანელებმა მხოლოდ კაკაზე ატეხეს ამბავი.

„კარლო ანჩელოტი კიდეც გამეხუმრა, რა ძალიან გდომებია „რეალში" გადასვლაო" — თქვა ბრაზილიელმა.

კაკას „მილანიდან" წასვლის არანაირი მიზეზი არ აქვს. ამ გუნდში მოიგო ჩემპიონთა ლიგა, გახდა ტურნირის მთავარმეგოლე (10) და წლეულს „ოქროს ბურთის" უპირველესი კანდიდატია.

„წარმატებებმა მოიტანა ის, რომ კლუბს ჩემი დატოვება სურს. ცხადია, სასიამოვნოა, როცა ნიჭი გაქვს, მაგრამ მხოლოდ ჯილდოების მოგებას მოაქვს აღიარება. ხუთი წლის განმავლობაში აქ ყველა ტიტული მოვიხვეჭე და კვლავაც თავდაუზოგავად ვშრომობ, რათა კიდევ უფრო ძლიერი გავხდე. „ოქროს ბურთი" და ფიფას საუკეთესოობა მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. მთავარი ისაა, თუ რა მოვიგე „მილანის" მაისურით. აქამდე საქმეები ბრწყინვალედ მიდიოდა და ახლა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც უნდა ვიმარჯვო" — განაცხადა ბრაზილიელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## აი, ჩემი ფეხი

**„ასტონ ვილას"** ამერიკელ პატრონ რენდი ლერნერს ისე უყვარს თავისი გუნდი, რომ კოჭზე საკლუბო ემბლემაც კი ჩაიხატა.

მილიარდერმა ამერიკაში, „ასტონ ვილას" ტურნესისას შეკრებაზე ფეხბურთელებს მოსვირინგებული ფეხი აჩვენა და ფრთხილ გააცნო, მაგრამ მწვრთნელ მარტინ ონილს დახატული კოჭები კი არა, ახალი მოთამაშეები და გუნდის გაძლიერება სჭირდება. ამ ზაფხულს ჯერჯერობით მხოლოდ ნაიჯელ რეო-კოკერი და მარლონ ჰერვუდი შეიძინეს, ლერნერი ამშვიდებს ონილს და კიდევ ჰპირდება ფულს ფეხბურთელების საყიდლად.

მომდევნო, ალბათ, „ვესტ ბრომვიჩის" რვამილიონიანი მცველი კერტის დევისი იქნება.

## მესის ბუცები გაყიდეს

**პეკინში** ჩასულმა „ბარსელონამ" აუქციონი გამართა, რომელმაც დაახლოებით მილიონ 500 ათასი ევრო მოიტანა და თანხა ჩინელი ბავშვების დახმარების ფონდში წავიდა.

აუქციონზე 4 ათას ევროდ გაიყიდა ლიონელ მესის ბუცები. ეს ბუცები არგენტინელს გასულ აპრილში „ხეტაფესთან" ეცვა და ზღაპრული, მარადონას გოლის მსგავსი გაიტანა.

„ბარსამ" ასევე გაყიდა რონალდინიოს თმა და ტიერი ანრის მაისურა, რომელიც იენისში პრეზენტაციაზე ეცვა.

## ვალდესი რეჯინას დაიცავს

**„ტორინოს"** ურუგვაელი მცველი კარლოს ადრიან ვალდესი „რეჯინაში" გადავიდა.

უეფას ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გარიგების ფასი კი უცნობია. „ტორინოში" ვალდესმა ორი სეზონი გაატარა და 53 მატჩი ითამაშა, ნაკრების მაისურა კი რვაჯერ მოირგო.

## მურსიელი კურო

**„ვალენსიას"** მცველი კრისტობალ კურო ტორესი ერთი სეზონით „მურსიამ" ითხოვა.

ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გასულ სეზონში 17 მატჩი ითამაშა და იმედოვნებს, რომ „მურსიაში" ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდება.

## გადასარევი ბიტი

**„ევერტონის"** ფორვარდი ჯეიმს ბიტი „შეფილდ იუნაიტედმა" იყიდა, რომელიც პრემიერლიგიდან გასულ სეზონში გავარდა.

ფეხბურთელში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

„გადასარევი ამბავია. აღფრთოვანებული ვარ — თქვა გუნდის მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა — ჩემპიონლიგაში ჩვენ ახლა საუკეთესო თავდასხმა გვყავს და ელიტაში უნდა დავბრუნდეთ."

## 23 წლის შემდეგ

**ბირმინგემის** „ასტონ ვილას" ფეხბურთელი ლაიამ რიჯუელი ამავე ქალაქის მეორე გუნდში, „ბირმინგემში" გადავიდა. მისი ტრანსფერი 2 მილიონი გირვანქა დაჯდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ბოლო 23 წლის განმავლობაში ეს პირველი გარიგებაა თანაქალაქელ კლუბებს შორის. რიჯუელამდე „ასტონ ვილა" „ბირმინგემში" დეს ბრემნერმა გაცვალა 1984 წელს.

## გიგანტური უკმაყოფილება

**ჩეხეთის** ნაკრების გიგანტ ფორვარდ იან კოლერს „მონაკოდან" წასვლა სურს, რადგან ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებენ.

ჩემპიონატის პირველ ტურში მონაკოელებმა „სენტ ეტიენს" უმასპინძლეს და ჩეხი სათადარიგოებში იჯდა.

„ძალიან ნაწყენი ვარ — თქვა კოლერმა — თუ ვითარება ჩემთვის სასიკეთოდ არ შეიცვლება, აქედან ავიბარგები."

სამთავროს გუნდი ერთი ფორვარდით თამაშობს და მწვრთნელი ფრედერიკ პიკიონს ანიჭებს უპირატესობას. სწორედ მან გაუტანა „სენტ ეტიენს" მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა.

## შარშანდელი საუკეთესო მოსკერა

**„სევილიამ"** მექსიკური „პაჩუკადან" კოლუმბიელი მცველი აკივალდო მოსკერა იყიდა და ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

მოსკერა „ნიუკასლში" გადასულ ივიცა დრაგუტინოვიჩს შეცვლის.

ესპანური მედიის ცნობით, უეფას თასის მფლობელი კლუბი მოსკერაში 5 მილიონ გირვანქას გაიმეტებს.

შარშანდელ სეზონში კოლუმბიელი მცველი სამხრეთ ამერიკაში საუკეთესოდ აღიარეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### პოლონეთი

**პირველი ლიგა. II ტური**

კორონა — ლეხი 1:0; კრაკოვია — რუხი 1:0; ლოძი — პოლონია 0:0; ოდრა — სოსნოვეცი 1:0; ზაგლებე — ვისლა 0:1; იაგელონია — გროცლინი 1:3; ვიძევი — ბელხატუვი 0:0, გურნიკი — ლეგია 0:3

### ირლანდია

**პრემიერლიგა XXI ტური**

გალვეი — უოტერფორდი 1:2; კორკი — სლიგო 1:2; ლონგფორდი — ბოჰემიანსი 3:0; შემროკი — დერი 1:1; ბრეი — დროჰედა და სტ. პატრიკსი — დუბლინი დღეს გაიმართება

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. I ტური

**ბორდო 1:0 ლანსი**
1:0 ბელიონი (30)

**კაენი 1:0 ნიცა**
1:0 კომპანი (82)

**მონაკო 1:1 სენტ ეტიენი**
1:0 პიკიონი (44), 1:1 ფეინდუნო (47პ)

**რენი 0:2 ნანსი**
0:1 ფორჩუნი (38), 0:2 ი. ჰაჯი (41)

**ვალანსიენი 3:1 ტულუზი**
1:0 აუდელი (5), 1:1 დეუსი (11), 2:1, 3:1 აუდელი (29, 58)

**სტრასბური 0:0 მარსელი**

**პსჟ 0:0 სოშო**

**ლილი 0:0 ლორიალი**

**ლე მანი 1:0 მეცი**
1:0 ბასა (26)

**ლიონი 2:0 ოსერი**
1:0 ბაროში (34), 2:0 ბენზემა (70)

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. V ტური

ტიროლი — პაშინგი 1:1; შტურმი — ზალცბურგი 0:0; რაპიდი — ავსტრია 0:0; ლინცერი — რიდი 1:0, მატერსბურგი — ალტახი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მატერსბურგი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:8 | 11 |
| ზალცბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| შტურმი | 5 | 1 | 4 | 0 | 8:4 | 7 |
| რაპიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ავსტრია | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| ლინცერი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| რიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| პაშინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ტიროლი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| ალტახი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

## მექსიკა

### აპერტურა. I ტური

ტეკოსი — პაჩუკა 1:4; ხაგუარესი — ატლანტე 1:1; მორელია — ვერაკრუსი 1:1; ტიგრესი — სან ლუისი 0:0; ატლასი — ტოლუკა 1:1; სანტოსი — კრუს ასული 2:0. *პუმასი — გვადალახარა და ნეკაქსა — მონტერეი გვიან დამთავრდა*

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XVI ტური

ტამპერე — ვაასა 2:2; მარიეჰამნი — კტპ 3:2; ლაჰტი — ჰონკა 2:2; ჰაკა — იარო 4:0; ინტერი — ოულუ 1:0. *ტურკუ — მიუპა და ჰიკ — ვიიკინგიტი დღეს გაიმართება*

## შვეიცარია

### სუპერლიგა. IV ტური

სიონი — ქსამაქსი 1:1; სენტ გალენი — ლუცერნი 1:2; ციურიხი — თუნი 3:1; აარაუ — გრასჰოპერი 2:2, იანგ ბოისი — ბაზელი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანგ ბოისი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 8 |
| ციურიხი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბაზელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ქსამაქსი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | 5 |
| აარაუ | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | 3 |
| თუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სენტ გალენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### ჩელენჯლიგა. IV ტური

კონკორდია — ლუგანო 1:1; კამი — დელემონი 0:2; ვოლენი — შაფჰაუზენი 2:2; ვინტერთური — შო დე ფონი 6:4; კრიენსი — ლოკარნო 2:0; კიაზო — ვილი 2:5; ბელინცონა — ივერდონი 2:0; ვადუცი — გოსაუ 5:1

## თურქეთი

### სუპერთასი

**ბეშიქთაში 1:2 ფენერბაჰჩე**

## ბელგია

### იუპილერლიგა. I ტური

**მეხელენი 0:1 ანდერლეხტი**
0:1 ვასილევსკი (90)

**შარლერუა 1:1 რუზელარე**
1:0 სმოლდერსი (2), 1:1 ი.აკგულ (65)

**ბრიუგე 2:1 მონსი**
1:0 სტრეჩელე (26), 1:1 ზოკო (44), 2:1 სტრეჩელე (58)

**მოლენბეკი 0:1 ვესტერლო**
0:1 იმმუტი (56)

**დენდერი 1:2 ბეერსხოტი**
1:0 სტორნი (52), 1:1 გერეტსი (55ს.კ.), 1:2 მალკი (75)

**ლოკერენი 2:1 სტ. ტრუიდენი**
1:0 ტამბვე (31), 1:1 ა. კულიბალი (64), 2:1 პ. კარლოსი (73პ)

**გენკი 3:1 სერკლი**
1:0 ბოსნიაკი (8), 2:0 სოტირსი (20), 2:1 ს. სმეტი (24), 3:1 კაილე (35)

**მუსკრონი 1:4 გენტი**
0:1 გრეგოირე (8), 1:1 კუსტოვიჩი (9პ), 1:2 გრეგოირე (16), 1:3 ჟეელაკოვი (69), 1:4 ვერმუტი (90)

**ზულტე-ვარეგემი 1:4 სტანდარდი**
1:0 ჟელავიჩი (34), 1:1 ფელაინი (37), 1:2 ონიევუ (48), 1:3 კამარგო (50), 1:4 ვიტზელი (83)

## პერუ

### კლაუსურა. III ტური

მელგარი — უნ. ლიმა 0:1; მუნისიპალი — ატლეტიკო ალ. 3:2; ალიანსა — ტოტალი 2:1; *სპორტინგი — სან მარტინი და კუსკო — სპორტი გვიან დამთავრდა*

## სლოვაკეთი

### სუპერლიგა. IV ტური

ტრენჩინი — სენეცი 2:1; ტრნავა — ბ. ბისტრიცა 1:0; დუბნიცა — ნიტრა 0:2; ჟილინა — რუჟომბეროკი 3:1; არტმედია — სლოვანი 2:1

## შვედეთი

### ალსვენსკა XVII ტური

ელფსბორგი — კალმარი 2:2; იორებრო — ჰამარბი 3:1; ტრელებორგი — ჰალმსტადი 1:1. *აიკ — ბრომაპოიკარნა, გაის — იურგორდენი და გეფლე — გოტებორგი დღეს გაიმართება*

### სუპერეტა XVII ტური

დეგერფორსი — იორგრიტე 2:3; ბუნკეფლო — სოდრა 2:1; ენჩიოპინგი — ლანდსკრონა 0:2; ჰეკენი — იოსტერსი 0:2; ლიუნგსკილე — სირიუსი 2:1; მიალბი — სუნდსვალი 1:3; სილვია — ფალკენბერგი 0:1; *ატვიდაბერგი — ნორჩიოპინგი დღეს გაიმართება*

## არგენტინა

### აპერტურა. I ტური

კოლონი — ველესი 0:1; ბანფილდი — ესტუდიანტესი 0:3; ხიმნასია ლ — ტიბრე 0:1; არგ. ხუნიორსი — სან მარტინი 0:1; ინდეპენდიენტე — ლანუსი 5:3; ნიუელსი — სან ლორენსო 1:0; ოლიმპო — რასინგი 0:2; ბოკა ხუნიორსი — როსარიო 0:0. *ურაკანი — არსენალი გვიან დამთავრდა*

## რუმინეთი

### I ლიგა. II ტური

ფარული — სტიაუა 0:1; ჩაპლაული — გლორია 4:0; პოლიტეხნიკა — უნივერსიტატეა (კრ) 2:1; არადი — დაჩია 1:0; დინამო — ვასლუი 0:2; უნირეა — უნივერსიტატეა (კლ) 3:2; პანდურიი — ოცელული 1:0; რაპიდი — გლორია 2:2; კლუჟი — ტიმიშოარა 2:2

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. I ტური

**ინვერნესი 0:3 რეინჯერსი**
0:1 ფერგიუსონი (16), 0:2 ნოვო (64), 0:3 ფერგიუსონი (90)

**დანდი იუნ. 1:0 აბერდინი**
1:0 რობერტსონი (90)

**გრეტნა 0:4 ფოლკირკი**
0:1, 0:2 ჰიგდონი (14, 24), 0:3 მუტინიო (66), 0:4 ლატაპი (74)

**სენტ მირენი 0:1 მოზერუელი**
0:1 მაკგერი (3)

**სელტიკი 0:0 კილმარნოკი**

**ჰართსი — ჰიბერნიანი**
*დღეს გაიმართება*

### I დივიზიონი. I ტური

მორტონი — კლაიდი 3:2; ჰამილტონი — დანფერმლაინი 2:1; ლივინგსტონი — დანდი 0:2; ქუინი — სტ. ჯონსტონი 3:3; სტირლინგი — პარტიკი 1:1

### II დივიზიონი. I ტური

ერდრი — რეითი 0:1; ბერვიკი — ქოუდენბითი 1:1; პიტერჰედი — ალოა 1:4; ქუინზ პარკი — ბრეჩინი 3:0; როსი — ეირი 2:0

### III დივიზიონი. I ტური

დამბარტონი — ელჯინი 1:0; ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 3:1; მონტროუზი — ალბიონი 0:1; სტენჰაუზმური — არბროთი 1:0; სტრანრარი — ფორფარი 3:0

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVI ტური

რუსენბორგი — სტაბეკი 3:0; ფრედრიკსტადი — ალესუნდი 2:1; ოდ გრენლანდი — ლინი 2:0; სანდეფიორდი — ვიკინგი 4:1; სტარტი — ტრომსიო 1:1; ვოლერენგა — ბრანი 2:0. *ლილესტრიომი — სტრიომსგოდსეტი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 16 | 10 | 2 | 4 | 32:27 | 32 |
| სტაბეკი | 16 | 8 | 5 | 3 | 24:21 | 29 |
| ვიკინგი | 16 | 8 | 3 | 5 | 28:25 | 27 |
| ლილესტრიომი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:13 | 26 |
| რუსენბორგი | 16 | 7 | 4 | 5 | 32:23 | 25 |
| ლინი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:24 | 22 |
| ფრედრიკსტადი | 16 | 5 | 7 | 4 | 23:22 | 22 |
| ტრომსიო | 16 | 6 | 3 | 7 | 25:26 | 21 |
| სტრიომსგოდსეტი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:25 | 21 |
| ვოლერენგა | 16 | 4 | 6 | 6 | 15:18 | 18 |
| ალესუნდი | 16 | 5 | 3 | 8 | 24:30 | 18 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 4 | 3 | 9 | 18:19 | 15 |
| სანდეფიორდი | 16 | 4 | 3 | 9 | 20:30 | 15 |
| სტარტი | 16 | 3 | 5 | 8 | 19:27 | 14 |

### I დივიზიონი. XVII ტური

მანდალი — ბოდო 3:3; ჰამ კამი — კონგსვინგერი 4:0; ჰიონეფოსი — ტრომსდალენი 2:2; ლოვ ჰამი — რაუფოსი 0:1; მოსი — მიოლდე 0:0; ნოტოდენი — სკეიდი 4:3; სოგნდალი — ბრინი 1:2; სპარტა — ჰაუგესუნდი 0:0

## ბრაზილია

### სერია A. XVII ტური

რესიფე — ატლეტიკო პრ 3:2; ამერიკა — ნაუტიკო 1:5; კორინთიანსი — გოიასი 1:0; ფლუმინენსე — პალმეირასი 0:1; კრუზეირო — ინტერნასიონალი 3:2; სანტოსი — ფლამენგო 3:0; ჟუვენტუდი — ატლეტიკო მნ 1:2. *გრემიო — სან პაულუ, ვასკუ და გამა — ფიგეირენსე და პარანა ბოტაფოგო გვიან დამთავრდა*

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი III ტური

ჰიგინსი — კობრესალი 1:1; ესპანოლა — მელიპილა 1:2; კონსეფსიონი (უ) — ევერტონი 1:1; ლა სერენა — კონსეფსიონი დ 2:1; აუდაქსი — უნ. ჩილე 1:1; უჩიპატო — კობრელოა 3:0; ნუბლენსე — ლოტა 3:2, ანტოფაგასტა — სანტიაგო 5:0; კოლო კოლო — კოკიმბო 2:1

## გერმანია

### თასი. I ეტაპი

ჰოფენჰაიმი — აუგსბურგი 4:2დ.დ. (2:2); ვეენი — შტუტგარტი 1:2; როტ ვაისი — ჰანზა 0:8; ვილჰელმშავენი — ლაუტერნი 0:4; ოსნაბრიუკი — გლადბახი 0:1; ესენი — კოტბუსი 2:2დ.დ. (6:5პენ, 1:1); ალენი — ჰანოვერი 1:3; ბრაუნშვაიგი — ვერდერი 0:1; უნტერჰახინგი — ჰერტა 0:3; მაგდებურგი — დორტმუნდი 1:4; სტ. პაული — ლევერკუზენი 1:0; ვერლი — მიუნხენი 0:3; სენდჰაუზენი — ოფენბახი 0:4; გერა — კარლ ცაისი 0:3; ვილინგენი — ფრაიბურგი 1:3; ვუპერტალი — აუე 1:1დ.დ. (პ4:3); ბაბელსბერგი — დუისბურგი 0:4; კილი — ჰამბურგი 0:5; ვიქტორია — ნიურნბერგი 0:6; ვერდერი (მ) — კიოლნი 4:2დ.დ. (2:2); ლევერკუზენი (მ) — პადერბორნი 0:1; ნორმანია — ალემანია 0:3; ჰაველსი — კობლენცი 0:3; ნუესტრელიცი — კარლსრუე 0:2დ.დ. (0:0); ვურსბურგერი — ვოლფსბურგი 0:4; დინამო (დრ) — ბოხუმი 0:1; დარმშტადტი — ფიურტი 1:3; ვორმსი — მაინცი 1:6; ზელიგენპორტენი — არმინია 0:2; ტრირი — შალკე 0:9; უნიონი — აინტრახტი 1:4

### სამხრეთ რეგიონალლიგა მეორე ტური

მიუნხენი (მ) — ბაიერნი (მ) 3:2; აალენი — კარლსრუე (მ) 2:0; როიტლინგენი — ჰესენი 0:0; ფრანკფურტი — ზიგენი 1:1; კიკერსი — რეგენსბურგი 1:3; ელვერსბერგი — ინგოლშტადტი 1:5

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა მეორე ტური

დორტმუნდი — ერფურტი 1:1

## აშშ

### მეიჯორლიგა XIX ტური

ჩიკაგო — კოლუმბუსი 0:0; ნიუ ინგლედი — ვაშინგტონი 0:3

## ამხანაგური მატჩები

**ლინკოლნი 1:2 უოტფორდი**

**როდა 0:3 ხეტაფე**

**იფსვიჩი 2:0 პანათინაიკოსი**

**ნიუკასლი 1:0 სამპდორია**

**სუონსი 2:0 ლევანტე**

**შანხაი 0:3 პორტუ**

**ფეიენოორდი 1:1 ლივერპული**

**აეკ 1:3 ლივორნო**

**სპორტინგი 0:1 ბენფიკა**

**რეალი 1:2 პსვ**

**ლოკომოტივი 3:3 (პ4:5) მილანი**

**ჰალი — ესპანიოლი** *გადაიდო*

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. III ტური

შიოფოკი — დებრეცენი 1:1; ზალაეგერსეგი — დიოშდიორი 4:1; ნიერიგიაზა — რეაკ 2:0; დიორი — ტატაბანია 2:1; კაპოშვარი — პაკში 2:1; ვაშაში — შოპრონი 2:0; ჰონვედი — ფეჰერვარი 5:1. *მტკ — უიპეშტი დღეს გაიმართება*

## ხორვატია

### NHL. III ტური

მედიმურიე — ვარტექსი 4:1; ზადარი — შიბენიკი 2:2; ოსიეკი — რიეკა 2:2; ინტერი — დინამო 0:4; ციბალია — ჰაიდუკი 0:0; ზაგრები — სლავენი 0:2

## სლოვენია

### I ლიგა. III ტური

პუბლიკუმი — ნაფტა 0:0; კოპერი — მარიბორი 2:1; დრავა — ინტერბლოკი 2:0; გორიცა — *პრიმორიე დღეს გაიმართება. ლივარი — დომჟალე გადაიდო*

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIX ტური

**სატურნი 2:0 კუბანი**
1:0 კარიაკა (10), 2:0 კირიჩენკო (26)

**ხიმკი 1:2 ლოკომოტივი**
0:1 ტრაორე (33), 1:1 ანტიპენკო (71), 1:2 როდოლფო (90)

**როსტოვი 1:1 კრილია**
0:1 ბობერი (64პ), 1:1 ბუზნიკინი (73)

**დინამო 4:2 ზენიტი**
1:0 კოლოდინი (29), 1:1 ტიმოშჩუკი (42პ), 1:2 ტეკე (48), 2:2 კოლოდინი (54პ), 3:2 დანი (65), 4:2 პიმენოვი (81)

**ამკარი 1:0 ლუჩ-ენერგია**
1:0 კუშევი (57პ)

**ნალჩიკი 1:1 ცსკა**
0:1 ჟო (5), 1:1 ფაიზულინი (65)

**სპარტაკი 3:2 ტომი**
0:1 მიჩკოვი (30), 1:1 ტორბინსკი (54), 1:2 ბულიგა (64), 2:2 პავლიუჩენკო (83), 3:2 ბოიარინცევი (90)

**მოსკვა 2:1 რუბინი**
1:0 პ. ბისტროვი (5), 1:1 ბუდილინი (11პ), 2:1 სემაკი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 19 | 10 | 6 | 3 | 27:19 | 36 |
| მოსკვა | 19 | 9 | 6 | 4 | 24:19 | 33 |
| ზენიტი | 19 | 8 | 7 | 4 | 29:26 | 31 |
| დინამო | 19 | 8 | 6 | 5 | 27:19 | 30 |
| ცსკა | 19 | 6 | 9 | 4 | 21:17 | 27 |
| რუბინი | 18 | 7 | 3 | 8 | 19:18 | 24 |
| ამკარი | 19 | 5 | 9 | 5 | 16:15 | 24 |
| სატურნი | 19 | 5 | 9 | 5 | 19:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 19 | 6 | 6 | 7 | 23:27 | 24 |
| კრილია | 19 | 6 | 5 | 8 | 20:23 | 23 |
| ნალჩიკი | 18 | 5 | 7 | 6 | 16:19 | 22 |
| ტომი | 19 | 4 | 9 | 6 | 23:23 | 21 |
| ხიმკი | 19 | 4 | 9 | 6 | 18:18 | 21 |
| ლუჩ-ენერგია | 19 | 5 | 6 | 8 | 17:20 | 21 |
| კუბანი | 19 | 4 | 9 | 6 | 17:21 | 21 |
| როსტოვი | 19 | 1 | 10 | 8 | 14:27 | 13 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა IV ტური

მ. დონეცკი — მ. ზაპოროჟიე 3:0; ზარია — არსენალი 3:1; ტავრია — კრივბასი 4:3; ვორსკლა — მეტალისტი 1:1; ხარკოვი — კარპატი 1:0; ზაკარპატიე — შახტარი 0:1; ნაფტოვიკი — ჩერნომორეცი 0:1; დინამო — დნიპრო 1:3

## დანია

### სუპერლიგა. IV ტური

ორჰუსი — კოპენჰაგენი 0:1; ესბიერგი — რანდერსი 1:3; ჰორსენსი — ოლბორგი 1:1; მიდტიულანდი — ვიბორგი 1:0; ბრონდბიუ — ლიუნგბიუ 3:0; *ოდენსე — ნორდსიელანდი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რანდერსი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:1 | 12 |
| ჰორსენსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:6 | 8 |
| ესბიერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| კოპენჰაგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| მიდტიულანდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| ოდენსე | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ნორდსიელანდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბრონდბიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ლიუნგბიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:7 | 2 |
| ორჰუსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ვიბორგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

### I დივიზიონი. I ტური

ფრემადი — ჰერფიოლგე 1:1; ჰელერუპი — კიოგე 3:1; ჰვიდოვრე — სონდერიისკე 0:2; იოლსტიკე — ნიკიობინგი 1:0; სკივე — ვეილე 1:2; აკადემიისკი — კოლდინგი 2:2; ნესტვედი — ფრემი 4:0; სილკებორგი — ფრედერისია 1:0


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვითლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge